ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



„ბიძინა ივანიშვილს ერთგული ხალხი ჩამოაცილეს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „დროა, ღარიბაშვილი „ოცნებას“ გვერდით დაუდგეს“ გვ.3

19 მაისიდან

გრიგოლ რობაქიძე

ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ხუთშაბათი, 19 მაისი, 2016 №117 (7043) ფასი: 50 თეთრი

# ბოკერია საარჩევნო სიაში არის მე-14, მაჭავარიანი — 29-ე

გვ.5



## მოხვდება თუ არა პარლამენტში სკანდალური ბასიშვილი

ნაციონალებმა, ეტყობა, იციან, რომ მომავალ პარლამენტში დიდი ამბები იქნება და მარტო კედელაშვილის იმედად ყოფნა არ შეიძლება. ჩხუბი და მუშტი-კრივი ბობოხიძემ კარგად იცის და ამიტომაც მოხვდა სიაში მე-13 ნომრად.



## ალასანია: „მსჯავრდებულების შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისთვის მიმართვას არ ვაპირებთ“

გვ.2





## მარგველაშვილი: „ამ საქმეზე არაერთი ზედმეტი კომენტარი მოვისმინე პოლიტიკოსებისგან“

## გაერთიანდებიან თუ არა ფორუმი და თავისუფალი დემოკრატები




კახა შარტავა პრეზიდენტს კაბელების საქმეზე დაკავებულების შეწყალებას სთხოვს გვ.2

## ვახტანგ ძაბირაძე: „ბურჭულაძე ხმებს „ქართულ ოცნებას“ წაართმევს“



გვ.4

„კვირიკაშვილს შეუძლია, პარტიის რეალური მმართველი იყოს“

გვ.7



## ვახტანგ მაისაია: „რუსეთს ისლამურ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა აქვს“

## ნოდარ ნათაძე: „ნატო საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია“

გვ.4



ISSN 1987-9385

2016, 19 მაისი, №117

# ალასანია: „მსჯავრდებულების შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისთვის მიმართვას არ ვაპირებთ“

**თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ კაბელების საქმის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების რიცხვი გაიზარდა.**

**ამის შესახებ მან გუშინ, 18 მაისს, დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

— ამ პროცესით არა მხოლოდ პოლიტიკური პატიმრების რიცხვი გაიზარდა, არამედ პრაქტიკულად წერტილი დაესვა პერსპექტივასაც კი, რომ სასამართლო დამოუკიდებელი გახდეს, თუკი სისტემური ცვლილებები არ მოხდა და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, როდესაც ოქტომბრის არჩევნებით, ჩვენს ქვეყანაში ივანიშვილის გავლენა დამთავრდება, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ასევე მიიჩნევს, რომ კაბელების საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მიზანი დაშინება და ძალის დემონსტრირებაა.

— მოგვივიდა ინფორმაცია, რომ მმართველი პარტიის შიგნით არის ასეთი საუბარი — „აბა რა, ჩვენ ახლა ძალის დემონსტრირება უნდა გავაკეთოთ“. მინდა ვუთხრა მათ, ვინც „ქართულ ოცნებაში“ ამას ფიქრობს, ეს არის სისუსტის დემონსტრირება პირველ რიგში, 5 უდანაშაულო ადამიანის უსამართლოდ ციხეში გამწესება. ეს მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურად აისახება მათზე, მათ ავტორიტეტზე და მათ ისედაც ქარწაღებულ ნდობაზე. აქედან გამომდინარე, უშვებენ შეცდომას. ეს გადაწყვეტილება მათი საბედისწერო შეცდომაა და ეს არჩევნების დღეს გამოჩნდება, — განაცხადა ალასანიამ.

როგორც ალასანიამ აღნიშნა, დიპლომატიური კორპუსი პირველივე დღიდან დაინტერესებული იყო ამ საქმით და რიგ შემთხვევებში მათი წარმომადგენლები სასამართლო პროცესებსაც ესწრებოდნენ.

— ჩვენ გავაცანით ჩვენი გეგმები, როგორ ვაპირებთ მშვიდობიანი, დიდი, ძლიერი საპროტესტო აქციის ჩატარებას, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისი თქმით, დიპლომატების შეკითხვაზე, ხომ არ შეიცვლება საგარეო პოლიტიკისადმი პარტიის მხარდაჭერა, მან პასუხი გასცა, რომ ეს არ მოხდება, რადგან ქართველი ხალხი იმსახურებს ევროპაში სრულ ინტეგრაციას და ვიზალიბერალიზაციას.

— მათ ჰქონდათ შეკითხვა, შეცვლის თუ არა თავისუფალი დემოკრატები დღის წესრიგში საგარეო პოლიტიკურ მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის ნატოში და ევროკავშირში, რა



თქმა უნდა, ეს არ შეცვლის, ჩვენ ვთვლით, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს სრულ ინტეგრაციას და ვიზალიბერალიზაციას.

ჩვენ ამიტომაც გვჭირდება მათი ძალიან მტკიცე მხარდაჭერა, რათა დავანახოთ ივანიშვილს, მის მმართველ ხელისუფლებას, რომ ევროპაში ასე ვერ შევალთ, თუ არ შევცვალეთ დამოკიდებულებები სასამართლოს დამოუკიდებლობის მიმართ, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მან ყველა პოლიტიკურ ძალას და ორგანიზაციას, რომლებმაც კაბელების საქმეზე დაკავებულთა მიმართ სოლიდარობა გამოხატეს, მადლობა გადაუხადა.

— ძალიან მიხარია, რომ ყველა პოლიტიკურმა ძალამ, ერთის გარდა, ასეთი სოლიდარობა გამოიჩინა. რაც შეეხება პრეზიდენტისადმი მიმართვას შეწყალებაზე, ჩვენი პარტია ასეთ მიმართვას არ გეგმავს, მაგრამ ეს არის ყველა პოლიტიკური ძალის ხედვა და მათ შეუძლიათ საკუთარი გადაწყვეტილება მიიღონ. ვიცი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ ადამიანების ბედით შეწუხებულია და ის საკუთარ გადაწყვეტილებებს მიიღებს, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

◆ ◆ ◆

გუშინ საქართველოს პრეზიდენტს მსჯავრდებული პირების შეწყალების თხოვნით ეროვნულმა ფორუმმა მიმართა.

როგორც ეროვნული ფორუმის ლიდერმა კახა შარტავამ განაცხადა, პარტიის იურისტებისა და სამართლის დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, კაბელების საქმესთან დაკავშირებით დამდგარი განაჩენი მსჯავრდებულთა უდანაშაულობას უფრო მიანიშნებს, ვიდრე მათ ბრალეულობას.

თავად პრეზიდენტმა ამ საკითხის კომენტირებისას თავი აარიდა.



## მარგველაშვილი: „ამ საქმეზე არაერთი ზედმეტი კომენტარი მოვისმინე პოლიტიკოსებისგან“

ქუთაისში მყოფმა მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პოლიტიკოსები არ უნდა საუბრობდნენ მიმდინარე სასამართლო პროცესზე.

— პროცესი მიმდინარეობს და მე მასზე არ ვაკეთებ განცხადებას, გამომდინარე იქედან, რომ პოლიტიკოსები არ უნდა საუბრობდნენ მიმდინარე სასამართლო პროცესზე. არადა, კონკრეტულად ამ საქმეზე არაერთი ზედმეტი კომენტარი მოვისმინე პოლიტიკოსებისგან, ზედმეტად ჩახედულები იყვნენ ისინი სასამართლოს საქმეში, — განაცხადა მარგველაშვილმა.

◆ ◆ ◆

— თუ პრეზიდენტი კაბელების საქმეზე მსჯავრდებულებს შეიწყალებს, ბიძინა ივანიშვილსაც უნდა გადავუხადოთ მადლობა.

ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა ჟურნალისტებს განუცხადა.

— შეწყალება გიორგი მარგველაშვილის გადასაწყვეტია, მაგრამ, თუ პრეზიდენტი შეიწყალებს, ასევე ბიძინა ივანიშვილს უნდა გადავუხადოთ მადლობა ხალხო, იმიტომ, რომ იმან დანიშნა მარგველაშვილი. თუ მარგველაშვილი ამათ შეიწყალებს და კარგი კაცია, მაშინ ბიძინა ივანიშვილს კარგი კადრი შეურჩევია. ის მოსამართლეები თუ ცუდები არიან, გალანძღეთ სააკაშვილი, იმიტომ, რომ იმან დანიშნა ისინი, — განაცხადა მეჭიაურმა, რომლის კომენტარსაც რუსთავი 2 ავრცელებს.

◆ ◆ ◆

— ნებისმიერი ასეთი ტიპის საქმე ჩვენი ინტერესის სფეროშია.

ამის შესახებ საქართველოში ლატვიის ელჩმა ელიტა გაველემ თავისუფალი დემოკრატების ლიდერებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც ელჩმა აღნიშნა, მისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება როგორც ოფიციალური მხარისგან, ასევე თავისუფალი დემოკრატებისგან.

— პოლიტიკურ მოტივზე არ შემიძლია რაიმე ვთქვა, იმიტომ, რომ მე არ ვარ სამართლის ექსპერტი. ეს საქმე საინტერესოა არა იმიტომ, რომ თავისუფალ დემოკრატებს ეხება, ნებისმიერი ასეთი ტიპის საქმე ჩვენი ინტერესის სფეროშია. ჩვენ არ გვყავს სამართლის ექსპერტები საელჩოში, ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მივიღო ინფორმაცია როგორც ოფიციალური მხარისგან, ისე ამ კონკრეტული პარტიისგან და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, — განაცხადა ელიტა გაველემ.

# გაერთიანდებიან თუ არა ფორუმი და თავისუფალი დემოკრატები

შორენა მარსაგიშვილი

კაბელების საქმესთან დაკავშირებით პოლიტიკური დაპირისპირება ყოველდღიურად მწვავდება. ირაკლი ალასანია საპროტესტო აქციების დაწყებით იმუქრება. აქციების დაწყებამდე კი თავისუფალმა დემოკრატებმა საქმის დეტალები დიპლომატებს გააცნეს.

სანამ თავისუფალი დემოკრატები აქციებისთვის ემზადებიან, ეროვნულმა ფორუმმა გამოსავლის ძიება სხვა მხრიდან დაიწყო. პარტიის პოლიტსაბჭომ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც საზოგადოებას პარტიის ლიდერმა კახა შარტავამ გააცნო.

შარტავამ პრეზიდენტს მიმართა, გამოიყენოს კონსტიტუციური უფლება და შეიწყალოს კაბელების საქმეზე მსჯავრდებულები. შარტავას განცხადებით ამ ნაბიჯით თავიდან აცილებული იქნება მოსალოდნელი დაძაბულობა წინასაარჩევნოდ.

— 16 მაისს ე.წ კაბელების საქმესთან დაკავშირებით დამდგარი განაჩენი ჩვენი იურისტებისა და სამართლის



დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, ბრალდებულების უდანაშაულობას უფრო ამტკიცებს, ვიდრე ბრალეულობას. ამავე დროს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროცესს პოლიტიკურ შინაარსს აძლევს, რამაც შესაძ-

## კახა შარტავა პრეზიდენტს კაბელების საქმეზე დაკავებულების შეწყალებას სთხოვს

ლოა ისედაც ყოველთვის დაძაბულ წინასაარჩევნო პერიოდს დამატებითი სიმწვავე შესძინოს.

სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით ზემდგომი სასამართლო ინსტანციების იმედიც ნაკლებად რჩება. საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უსამართლობის მორიგი მსხვერპლისა და პოლიტიკური ვითარების არასასურველი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, რაც მნიშვნელოვანია კარს მომდგარი საარჩევნო კამპანიების მეტნაკლებად ნორმალურ ვითარებაში წარმართვისთვის, ჩვენ, ეროვნული ფორუმი მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, გამოიყენოს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და შეიწყალოს მსჯავრდებულები, — განაცხადა კახა შარტავამ.

ეროვნული ფორუმის მიმართვას მალევე მოჰყვა გამოხმაურებები. კომენტარის გაკეთება არც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაზარებიათ.

ფორუმის მოწოდებას მარგველაშვილის სახელით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი გამოეხმაურა.

— კაბელების საქმეზე პრეზიდენტი არის დეტალურად ინფორმირებული, პრეზიდენტმა ჯერ კიდევ 16 მაისს გააკეთა განცხადება აღნიშნულ საკითხზე. ცალკეულ სპეციალურ მოწოდებებზე საგანგებო განცხადების გაკეთებას არ ვაპირებთ, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, ის ამ საკითხზე პოზიციის დაფიქსირებას არ აპირებს. ამბობს, რომ ამ დუმილით სასამართლოს გადაწყვეტილებას სცემს პატივს.

როგორც მარგველაშვილმა ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში აღნიშნა, როდესაც მოსამართლე გადის გადაწყვეტილების მისაღებად, მის შინაგან რწმენასა და შინაგან დიალოგში არ უნდა ფიგურირებდეს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარები.

— მე ამ საკითხზე არც ერთი პოზიცია არ დამიფიქსირებია. თუმცა, კითხვის ნიშნები პოლიტიკური ელფერის თაობაზე დაისვა საზოგადოების მხრიდან. არაერთმა პოლიტიკურმა ფიგურამ თავისი აზრი გამოთქვა და მეტიც, ისეთი დეტალები გაირჩა, რომელიც პირდაპირ ეთერში არ უნდა გარჩეულიყო.

საქმე არის ჯერ კიდევ პირველ ინსტანციაში. მე რამდენადაც მედიიდან ინფორმირებული ვარ, ამ საქმის ვექილები აპირებენ სააპელაციოში საქმის შეტანას. შესაბამისად, არ მინდა, მოვლენებს დავასწრო. გამომდინარე საზოგადოების მაღალი ინტერესიდან, განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდები ამ საქმის მიმდინარეობას, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბიძინა ივანიშვილს ერთგული ხალხი ჩამოაცილეს“

შორენა მარსაგიშვილი



**რატომ ჩამოაცილეს ბიძინა ივანიშვილს ერთგული ხალხი, რატომ აგვიანებს მმართველი გუნდი საარჩევნო სიის გასაჯაროებას, ვინ იქნება არჩევნებზე მათი მთავარი მტერი, ვის აპირებს თანაპარტიელებზე „დანოსების“ დაწერას? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

— მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ არჩევნების მოგების დიდი შანსი გააჩნია, მას არჩევნებზე ძალიან გაუჭირდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი, რომელიც პროქართულად აზროვნებდა და ხალხის სიმპათიებით სარგებლობდა, პარტიიდან იქნა გარიყული.

თამაზ მეჭიაურმა უკვე ოფიციალურად გააკეთა განცხადება წასვლის შესახებ. მას კიდევ რამდენიმე დეპუტატი მიჰყვება. ჩემთვის მათი ვინაობა ცნობილია, მაგრამ არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო ვინმე, დაველოდოთ, თავად გააკეთებენ ამ განცხადებას. ეს ადამიანები მხოლოდ იმიტომ გარიყეს, რომ განსხვავებული პოზიცია აქვთ.

მსოფლიოში ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დემოკრატიულ ქვეყანას, სადაც ხელისუფლებაში ყველას ერთი აზრი აქვს. ამერიკის მაგალითების მოყვანა ძალიან უყვართ საქართველოში და ბევრ რამეშიც ბაძავენ ამერიკელებს. რამდენიმე კვირის წინ კონგრესმენმა რასელმა განაცხადა, ივანიშვილს ანგარიშები უნდა გავუყინოთო. ამის გამო აშშ-მ ლამის ოფიციალური ბოდიში მოიხადა — ეს ჩვენი პოზიცია არ არისო. იგივე ხდება ხოლმე მაკეინის განცხადებების დროს. ამის მიუხედავად, ამ ადამიანებისთვის შენიშვნა არავის მიუცია, გუნდიდან გარიყვაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

გამიჭირდება იმის თქმა, ამ გადაწყვეტილებით „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი ვისი გულის მოგებას აპირებს. სამაგიეროდ, კარგად ვხედავ, როგორ უარყოფით გავლენას ახდენს ეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე,

***— რა უარყოფითი გავლენა შეიძლება მოჰყვეს „ოცნებიდან“ რამდენიმე ადამიანის წასვლას?***

— როგორც უკვე გითხარით, ის ხალხი გაირიყა, ვინც ეროვნულად აზროვნებდა და ამით ხალხის სიმპათიას იმსახურებდა. მოსახლეობას ისიც ახსოვს, როგორი თავგამოდებით იბრძოდნენ ეს ადამიანები რეჟიმის წინააღმდეგ. ახლა ეს ხალხი მოულოდნელად საარჩევნო სიის მიღმა აღმოჩნდა. ამ დროს სიაში იმ ხალხის ჩასმას აპირებენ, რომლებსაც იმ 9 წლის მანძილზე ერთხელაც არ გაუკრიტიკებიათ ნაციონალები. ეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ბევრ კითხვას უჩენს და ისინი ამ პარტიას არჩევნებში ხმას აღარ მისცემენ.

მმართველი გუნდის მიმართ დამატებითი კითხვები და ეჭვები პარტიის ყრილობამაც გააჩინა. პარტიის პირველი პირები რომ არ ჩარეულიყვნენ საქმეში, სკანდალი გარდაუვალი იქნებოდა.

***— რა სკანდალზე საუბრობთ?***

— ყრილობამდე ერთი დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ ღონისძიებაზე დასასწრებად მოსაწვევები დეპუტატების ნაწილს არ გაუგზავნეს. ეს გადაწყვეტილება ზოგიერთმა ლიდერმა მიიღო. დეპუტატებმა ეს ამბავი გაახმაურეს და როცა ეს ამბავი ზემოთ გაიგეს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. უხერხულია, რომ ადამიანებს, რომლებმაც ამდენი ბრძოლა გამოიარეს, უპატივცემულოდ ექცევიან.

ყრილობაზე ასევე წარმოგვიდგინეს ახალი სახეებიც. პიროვნულად არავისზე არ ვისაუბრებ, მაგრამ მართლა ვერ გავიგე, რასთან გვაქვს საქმე. მე ახალი სახე ასე მესმის, რომ ადამიანი, შესაძლოა, შენს პარტიაში არ იყო, მაგრამ პოლიტიკურად და საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური იყო. ასე საიდანღაც ხალხის მოყვანა არ შეიძლება. პარტია კერძო კომპანია არ არის, სადაც თანამშრომელს გამოსაცდელი ვადით იღებენ — იქნება გამოგვადგესო. სად მიდიან მერე, თუ ეს ახალი სახეები არ გამოადგათ? მეგონა, ამ მიმართულებით უფრო სერიოზულ გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ, რადგან რამდენიმე ახალი სახე არ გამოადგათ.

## რა სკანდალი მოხდა ყრილობის წინ „ქართულ ოცნებაში“



***— ვისზე საუბრობთ?***

— გიორგი მარგველაშვილზე. ამ ადამიანს პოლიტიკურად არავინ იცნობდა, „ქართულმა ოცნებამ“ კი პრეზიდენტად გაიყვანა. ყველა ვხედავთ, რასაც აკეთებს მარგველაშვილი. იგივე შემიძლია ვთქვა უჩა ნანუაშვილზე. კაცი სახალხო დამცველად აირჩიეს, რომელიც თავის მოვალეობებს არ ასრულებს. დიდი ზარზეიმით გაიყვანეს ნაძალადევის მაჟორიტარად თამარ კორძაია, რომელიც სახელისუფლებო გუნდში კი იყო, მაგრამ სულ ხელისუფლების კრიტიკაში იყო და ბოლოს რესპუბლიკელებში გადაბარგდა.

ასეთი ახალი სახეების გამოჩენაც აღიზიანებს „ოცნების“ მხარდამჭერებს. უთანხმოებაა თავად გუნდში და გადამწყვეტ მომენტში, შესაძლოა, სერიოზული დაპირისპირების მომსწრენი გავხდეთ.

ნაციონალური მოძრაობის მიმართ სიმპათიებს ვერავინ დამწამებს, სულ მათ გასამართლებას ვითხოვ, მაგრამ ამ გუნდს დადებითი რაც აქვს, ისიც უნდა აღინიშნოს — ამ გუნდის წევრები ერთად დგანან. „ქართულ ოცნებაში“ კი ასეთ ერთიანობას ვერ ვხედავ.

***— ამბობენ, რომ ნაციონალებიდან ბევრს უნდა წასვლა, მაგრამ შანტაჟის საფუძველზე აკავებენ მათ პარტიაში.***

— გინდა შანტაჟი უძახეთ, გინდა ფულის გადახდა, მაგრამ ფაქტია, რომ პარტია სულ რამდენიმე ადამიანმა დატოვა. გუნდის 98% ისევ ადგილზეა და, რაც მთავარია, ნაციონალებს ერთმანეთზე „დანოსები“ არ დაუწერიათ.

***— რა „დანოსების“ დაწერაზეა საუბარი? „ქართულ ოცნებაში“ ვინმემ ვინმე ჩაუშვა თუ რა ხდება?***



## ნიკოლოზ მჟავანაძე: „დროა, ღარიბაშვილი „ოცნებას“ გვერდით დაუდგეს“

— ზოგიერთი საარჩევნო სიის მიღმა თუ დარჩა, ხელისუფლების პირველ პირებზე ისეთი „დანოსების“ დაწერას დაიწყებენ, კალამს ვერ გააგდებინებენ ხელიდან. ეს ხალხი არ არის იდეალების მატარებელი და მათგან ერთგულებას ნურავინ მოითხოვს. ერთგულ ხალხს პარტიიდან უშვებენ.

***— „დანოსების“ წერაში ვინმე შემჩნეული გყავთ თუ ამ განცხადებას გონივრული ეჭვის საფუძველზე აკეთებთ?***

— „ქართული ოცნების“ მაღალ ეშელონებში მყოფი ზოგიერთი პირი დღემდე ორმაგ თამაშს ეწევა. მესმის, რომ საზოგადოებას ძალიან უნდა გაიგოს, კონკრეტულად ვისზეა საუბარი. ამჯერადაც არ დავასახელებ კონკრეტულ გვარებს, რაც უკეთესიც კია, იმიტომ, რომ როცა არ ასახელებ კონკრეტულ გვარს, ბევრი ფიქრობს, მე ხომ არ ვყავარ მხედველობაშიო.

***— ამით იმის თქმა გინდათ, რომ „ოცნებაში“ „დანოსების“ წერისადმი მიდრეკილი გაცილებით მეტია, ვიდრე თქვენ იცით?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით ხელისუფლებას 3 რეკომენდაციას აძლევს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით ხელისუფლებას 3 რეკომენდაციას აძლევს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ პროექტების კოორდინატორმა ლევან ნატროშვილმა განუცხადა, ონლაინ თამაშებთან (ონლაინ ტოტალიზატორი, ონლაინ-კაზინო) დაკავშირებით პირველი რეკომენდაცია რეგისტრაციის პროცესს ეხება.

მისივე თქმით, პირადი ნომრის ადგილას ნებისმიერი თერთმეტნიშნა რიცხვის შეყვანა საკმარისია, რათა ონლაინ თამაშებისთვის რეგისტრაცია გაიარო და ითამაშო.

— ეს იყო ხილული პრობლემა და მისი აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, რადგან რეგისტრაციის ხარვეზის გამო არასრულწლოვნებს შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ამ თამაშებზე და ეს აუცილებლად უნდა აღმოიფხვას, — განაცხადა ნატროშვილმა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ლევან ნატროშვილის თქმით, სახელმწიფომ დეტალურად უნდა შეისწავლოს აღნიშნული დარგი და ის პრობლემები, რაც შეიძლება არსებობდეს.

— შეზღუდვებს რაც შეეხება, ჩვენი პოზიცია არის ის, რომ, პირველ რიგში, სახელმწიფომ ეს საკითხი დეტალურად უნდა შეისწავლოს, თუ არის, მაშინ რა პრობლემებია აზარტული თამაშების კუთხით, იქნება ეს ონლაინ თუ არა ონლაინ თამაშები, როგორიაა მოსახლეობის ჩართულობა, რა იწვევს პრობლემებს, საიდან მომდინარეობს ისინი და გარკვეული შეზღუდვების თუ რეგულაციების დაწესება, ამის მერე იქნება რელევანტური და გამართლებული.

მსოფლიოში აზარტული თამაშებთან დაკავშირებით ბევრნაირი რეგულაცია არსებობს. მათი ავტომატურად გადმოტანა ყოვლად გაუმართლებელი იქნება, ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა ამ საკითხის შესწავლა.

თუ გამოჩნდა რომ პრობლემა სერიოზულია ამა თუ იმ კუთხით, უკვე საკანონმდებლო წინადადება იქნება თუ კანონპროექტი ამის მერე იქნება გამართლებული და დასაბუთებული. ასე ფრაგმენტულად, რომ წინადადებები შევიტანოთ, დავბლოკოთ, ავკრძალოთ და ა.შ. წინასწარი შესწავლის გარეშე, ჩვენ არ ვემხრობით, — განაცხადა ნატროშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ პროცესში აუცილებელია სპეციალისტების — ეკონომისტების, ფსიქოლოგების ჩართვა.

— საჭიროა სხვადსახვა დარგის სპეციალისტები რომ ჩაერთონ შესწავლაში, რათა გარკვეული ეკონომიკური სიკეთეები, არც აზარტული თამაშების ბიზნესს ახლავს, არ დაზარალდეს და მეორე მხირვ, ის რისკები რაც ახლავს ამ ბიზნესს — სოციალური დანახარჯები, არაჯანსაღი დამოკიდებულება თამაშებზე, მათში არასრულწლოვნების მონაწილეობა — ეს მნიშვნელოვანი პრობლემები შემცირდეს. აქედან გამომდინარე, საჭიროა შესწავლა ამ საკითხების და თუ პრობლემები გამოვლინდა, ამის შემდეგ გამართლებული იქნება გარკვეული რეგულაციების შემოღება, — განაცხადა ნატროშვილმა.

როგორც ლევან ნატროშვილმა აღნიშნა, მე-3 რეკომენდაცია ეხება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მისივე თქმით, იმ ორგანიზაციის ანგარიშში, რომელიც ევროსაბჭოს ქვეყნებში ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში გატარებულ ღონისძიებებს აფასებს, საუბარი იყო, ამ კუთხით სათანადო მექნიზმები არ არის, რადგან „არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ სახელმწიფოს რეაგირება მოეხდინოს, გამოეძიებინოს, ფულის გათეთრების კუთხით ვიღაცა დაესაჯოს. ამ მხრივ საქართველოში რისკები მაღალია“.

კითხვაზე, უნდა აკრძალოს თუ არა მედიამ ონლაინ თამაშების რეკლამირება, ლევან ნატროშვილი მიიჩნევს, რომ პირველ რიგში, საჭიროა შესწავლა, რათა მივაგნოთ იმ გზებს, რომლითაც ეს პრობლემები უნდა აღმოიფხვრას.

— ფრაგმენტულად რაღაც რეგულაცია რომ შემოვიტანოთ, შევზღუდოთ, ავკრძალოთ, მედიამ თითონ რაღაც გააკეთოს, არ ვიცი, რამდენად ეფექტური იქნება. შეიძლება იყოს ეფექტიანი და შეიძლება — არა. ვიდრე არ იქნება შესწავლილი ეს საკითხი, რთული იქნება იმის თქმა, რა მექანიზმი იქნება ყველა უფრო გამართლებული, — განაცხადა ნატროშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

საერთაშორისო გამჭვირვალობა

საქართველო

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# გაერთიანდებიან თუ არა ფორუმი და თავისუფალი დემოკრატები

ამ განცხადების მიუხედავად, ფორუმში მაინც იმედიანად არიან განწყობილი და სჯერათ, რომ პრეზიდენტი დაკავებულებს შეიწყალებს.

საპარლამენტო ფრაქცია მრეწველების წევრი ზურაბ ტყემალაძე კაბელების საქმეზე მსჯავრდებულების შეწყალებას მხარს უჭერს.

— მე საერთოდ ჰუმანური პიროვნება ვარ და ნებისმიერ შეწყალებას, რა თქმა უნდა, დავუჭერ მხარს, თუ, მაგალითად, არ არის ისეთ დამნაშავე, რომელსაც ჩადენილი აქვს სისასტიკით რაღაცა საშინელი დანაშაული, — განაცხადა ტყემალაძემ.

◆ ◆ ◆

ეროვნული ფორუმის განცხადებას ჭორები და ვარაუდებიც მოჰყვა. მავანმა ეროვნული ფორუმის და თავისუფალი დემოკრატების გაერთიანებაც ივარაუდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ამ ორი ძალის გაერთიანებაზე მიდის საუბარი. როდესაც ცნობილი გახდა, რომ ეროვნული ფორუმი კოალიციიდან მიდიოდა, ყველამ ივარაუდა, რომ ისინი თავისუფალ დემოკრატებთან ერთად შექმნიდნენ ალიანსს.

ეს ვარაუდი პირველ რიგში ირაკლი ალასანიას და კახა შარტავას ფაქტორიდან გამომდინარე გაჩნდა. მათი მამები ერთად დაიღუპნენ სოხუმის დაცემის დღეს. ამის გარდა, ისინი ნათესავებიც არიან.

ინფორმაციას ფორუმის და თავისუფალი დემოკრატების შესაძლო გაერთიანების შესახებ კატეგორიულად უარყოფს ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე.

— ეროვნული ფორუმი არავისთან გაერთიანებას არ აპირებს, ჩვენ ერთხელ უკვე ვთქვით, რომ არჩევნებზე დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას და ეს ასეც იქნება, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ანი მიროტაძემ.

ეროვნული ფორუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ის კრიზისული ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად მიიჩნევს.

— კაბელების საქმეზე რაც ხდება, არის ჩიხი. ქვეყანა კრიზისშია შესული. თავისუფალი დემოკრატები კაბელების საქმეზე აქციებს აანონსებენ. არჩევნების წინ ქვეყნის ინტერესში ნამდვილად არ შედის აქციები. არსებული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი არის, რომ პრეზიდენტმა კაბელების საქმეზე დაკავებული 5 ადამიანი შეიწყალოს. ჩვენი მიზანი ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანაა და ნამდვილად არ გვიფიქრია ვინმესთან ალიანსის შექმნა, — ამბობს მიროტაძე.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნოდარ ნათაძე: „ნატო საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია“

## „დასავლეთის სახელმწიფოებთან ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულებები უნდა გავაფორმოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

სახალხო ფრონტის ლიდერი, ყოფილი დეპუტატი ნოდარ ნათაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფასებს ბოლო დროს პარტია „ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე დაპირისპირებას საგარეო პოლიტიკის საკითხებზე და გამოთქვამს პოზიციას საქართველოს ევროატლანტიკური კურსის თაობაზე.

**ნოდარ ნათაძე:**

– ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავებას საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ასევე მნიშვნელოვანია სამმხრივი წვრთნები, რომლებიც დაიწყო საქართველოში აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მონაწილეობით. დეპუტატი თამაზ მეჭიაური, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს ნატოში ინტეგრაციას და ამ წვრთნების მნიშვნელობას, ეტყობა, ვერ ერკვევა სიტუაციაში.

***– კერძოდ?***

– თამაზ მეჭიაურს ვერ გაუაზრებია, რომ რუსეთის მიზანი უცვლელია. რუსეთს უნდა, რომ საქართველო ან სულ არ არსებობდეს, ან რადიაციული გაუვალი უდაბნო იყოს, ან გაყოფილი იყოს რუსეთსა და სხვა სახელმწიფოს შორის. ამ მიზანზე რუსეთი ცოცხალი თავით უარს არ იტყვის. თუმცა, შეიძლება მას ამაზე უარი მოუწიოს სრული დამარცხების შემთხვევაში.

რუსეთის განზრახვაა, ბოლომდე მოახდინოს საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსია. ამის შემდეგ რუსეთს იმედი აქვს, რომ გახდება ამიერკავკასიის მეოთხე სახელმწიფო და დასავლეთს პირდაპირ მოუწოდებს, გავიდეს კავკასიიდან. რუსეთი უკან ვერ წაიღებს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებას, იმიტომ, რომ ამით თავის კლიენტებთან თავი მოეჭრება. ამიტომ, ის შეძლებისდაგვარად გააგრძელებს თავის პოლიტიკას. მეჭიაურს კიდევ ერთი რამ ვერ გაუგია – რუსეთი მარცხდება და სუსტდება. მას რუსეთი აშშ-ის ტოლი და სწორი ჰგონია.



„საქართველოსა და თურქეთს შორის სამხედრო თანამშრომლობა მიზანშეწონილი არ არის“

***– ბოლო დროს გააქტიურდა დისკუსია ნატოს თემაზე.***

– ნატო საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია. ჩვენ უნდა ვისწრაფვოდეთ არა მარტო ნატოში გაწევრიანებისკენ, არამედ, ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულებების გაფორმებისაკენ დასავლეთის სახელმწიფოებთან. მაგალითად, აშშ-თან. ეს აუცილებელია. დავუშვათ, ბარაქ ობამამ მოინდომა დაეხმაროს საქართველოს. მან ეს უნდა შეათანხმოს კონგრესთან. თუ არ იქნა შესაბამისი გაფორმებული ხელშეკრულება, კონგრესი პრეზიდენტს არ დაეთანხმება. რაც უნდა ვიძახოთ, ნეიტრალიტეტი და მშვიდობა გვინდაო, ეს ვერ გადაგვარჩენს.

***– საქართველოს შემთხვევაში ნეიტრალიტეტი არ გამოვა?***

– დიახ. ეგ იგივეა, კურდღელს რომ ერთი მხრიდან მგელი ედგას გვერდით და მეორე მხრიდან – ვეფხვი და ის იძახდეს, ნუ შემჭამთ, არ ვიჭმევიო. ამ კურდღელს მაინც შეჭამენ. კურდღელი გადარჩება მაშინ, თუ შემჭმელები შეთანხმდებიან, რომ ამას არ იზამენ. შვეიცარია იმიტომაა ნეიტრალური, რომ მის თაობაზე შეთანხმება არსებობს. ჩვენ სხვა სიტუაციაში ვართ. რუსეთი მარცხდება, მაგრამ ჯერ არ ჩერდება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ნატოს ეკონომიკურად, ტექნიკურად და სამხედრო კუთხით მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ნატო რუსეთს მრავალჯერადად აღემატება.

***– საქართველო სამხედრო სფეროში თანამშრომლობს აზერბაიჯანთან და თურქეთთან.***

– ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ დასავლეთის სახელმწიფოებთან. თურქეთისა და რუსეთის ერთობლივ ფარულ ინტერესებზე ადრეც მისაუბრია. თურქეთთან სამხედრო თანამშრომლობა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

***– „ქართულ ოცნებას“ რუსეთის ინტერესების გამტარებლად მიიჩნევთ. არადა, ევროატლანტიკური კურსისადმი მხარდაჭერა ბოლო დროს ლამის მთელმა პარტიამ დაადასტურა.***

– თამაზ მეჭიაურს, მართლაც, ბევრი არ დაეთანხმა. ესაა პრაგმატულ– პროდასავლური კურსი. მმართველ პარტიაში ბევრი ხვდება, რომ რუსეთი მარცხდება. ეს ადამიანები თადარიგს იჭერენ. ბევრ მათგანს წინა წლებში მოპარული და უკანონოდ მოპოვებული ქონება აქვს. ისინი საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობენ. რუსეთმა ბევრი იფახიფუხა უკრაინაში, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. რუსეთმა უკრაინა დაკარგა.

***– რუსეთი ყირიმსაც დათმობს?***

– აუცილებლად დათმობს. ბალტიისპირეთში რუსეთი შეაშინა ნატოს მოქმედებებმა და წვრთნებმა. ადრე თუ გვიან, რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიიდანაც გავა. ამას წინათ რუსეთმა გააკეთა მორიგი განცხადებები პანკისის ხეობაში ტერორისტების ყოფნის შესახებ. ამაზე აშშ-მა უპასუხა, რომ საქართველო იქ ამერიკასთან ერთად ებრძვის ტერორიზმს. დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს იმისთვისაც, რომ შავ ზღვას აღარ ჰქონდეს რუსულ-თურქული ტბის სტატუსი.

***– გამოდის, რომ საქართველოში რუსული ძალების გააქტიურების საფრთხეც იკლებს?***

– ნელ-ნელა აქამდეც მივალთ. პოლიტიკოსებში მომრავლდებიან პრაგმატიკოსები. ვისაც მაღალი აზროვნება აქვს, ის ისედაც პროდასავლელი იყო. საზოგადოებაშიც შემცირდება იმათი რიცხვი, ვისაც რუსეთი ამერიკისნაირი ძლიერი სახელმწიფო ჰგონია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ბურჭულაძე ხმებს „ქართულ ოცნებას“ წაართმევს“

## „კვირიკაშვილს შეუძლია, პარტიის რეალური მმართველი იყოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის დიდი კონკურენცია იქნება, ვინაიდან 5%-იანი ბარიერის გადალახვის შესაძლებლობა რამდენიმე პარტიას ეძლევა.



**ვახტანგ ძაბირაძე:**

საარჩევნო კამპანია არაოფიციალურად უკვე კარგა ხანია დაწყებულია და ეს ყველაფერს ეტყობა. ნელ-ნელა სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება. დიდი ხანია, არ ყოფილა ისეთი ვითარება, რომ პარტიების უდიდეს უმრავლესობას ჰქონდეს შანსი 5%-იანი ბარიერის გადალახვის. ძალიან დიდი კონკურენცია იქნება პოლიტიკურ სუბიექტებს შორის.

***– პაატა ბურჭულაძის შანსები როგორია?***

– როდესაც ფონდის დაარსებაზე გაკეთდა განაცხადი, იმთავითვე იყო მოლოდინი, რომ პარტიად გადაკეთდებოდა.

***– მსგავსი მანევრი რით იყო განპირობებული?***

– ბატონი ბურჭულაძე საკმაოდ ფრთხილად მოქმედებს. ნიადაგი მოსინჯა. ფონდის სახელით რაიონული ოფისები გახსნილია, შეხვედრები გამართა ხალხთან და მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ აქვს პოტენცია, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის იბრძოლოს, პოლიტიკური განაცხადიც გააკეთა.

დღეს ორ პარტიას აქვს გარანტირებული შანსი, რომ ბარიერი დაძლიოს: ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“. 6-7 პარტია კი ინაწილებს ბარიერის დაძლევის შანსს. ბურჭულაძისადმი საზოგადოებაში არსებობს კეთილგანწყობა, როგორც საზოგადო მოღვაწესა და საოპერო მომღერალს, მაგრამ რამდენად მოახერხებს ამ განწყობის გადატანას პოლიტიკურ კაპიტალში, რთული სათქმელია. ერთი რამ, რაც ჯერჯერობით მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, არის ის, რომ ეს არის დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაცია.

***– სახელისუფლო გუნდის განცხადებებით გამოჩნდა, რომ ბურჭულაძის პოლიტიკური განაცხადის მიმართ მათი დამოკიდებულება არცთუ კეთილგანწყობილია. ეს იმიტომ, რომ მთავარ კონკურენტს ხედავენ?***

– მმართველი გუნდიდან ბურჭულაძის განაცხადს კრიტიკული შეფასებები რომ მოჰყვა, ეს ბუნებრივია და გამომდინარეობს იქიდან, რომ ის ამომრჩეველს ვერ წაართმევს ნაციონალურ მოძრაობას, ბურჭულაძის სამუშაო ასპარეზი არის ამომრჩევლის სწორედ ის ნაწილი, რომელიც „ქართულ ოცნებაზე“ გულაცრუებულია.



ამიტომ ბურჭულაძის პოლიტიკურ ასპარეზზე შემოსვლა „ქართულ ოცნებას“ ხელს არ აძლევს. იმის შანსი, რომ მმართველმა გუნდმა განაწყენებული ამომრჩეველი დაიბრუნოს, ბურჭულაძის გამოჩენით მცირდება. თუმცა, ბურჭულაძის წინ არის პრობლემები, რაზეც ვისაუბრე და თუ მათ დაძლევს, მაშინ შეიძლება იქცეს ერთ-ერთ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად, მაგრამ არჩევნებამდე მცირე დრო რჩება, შესაბამისად, ისინი ცაიტნოტში არიან.

***– გიორგი კვირიკაშვილი „ქართული ოცნების“ ოფიციალური ლიდერი გახდა. ეს შეიძლება იყოს იმის წინაპირობა, რომ პარტიაში არსებული ქაოსი, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები დასრულდა?***

– „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, მხოლოდ ახლა ყალიბდება. კვირიკაშვილის ლიდერობა პირველ რიგში იქნება კითხვის ნიშნის მოხსნა, პარტია არის თუ არა პროდასავლური ორიენტაციის. იდეოლოგიური სხვაობები ალბათ მოიხსნება და ეს განცხადება პრემიერმა უკვე გააკეთა.

***– კვირიკაშვილი რამდენად შეძლებს, რეალური ლიდერი გახდეს, რომ გადაწყვეტილებები პირადად მან მიიღოს?***

– მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი გავლენა აქვს ივანიშვილს არა მხოლოდ ქართულ პოლიტიკაზე, არამედ პარტია „ქართულ ოცნებაზე“, კვირიკაშვილს შეუძლია, ეს ვერტიკალი დაალაგოს. ვნახოთ. რას იზამს.

***– შეძლებს?***

– ვნახოთ, მე არ ვთვლი, რომ ივანიშვილი, მიუხედავად მისი გავლენისა, შეიძლება კვირიკაშვილისთვის ხელშემშლელი ფაქტორი იყოს. თუ დაინახავს, რომ ხელშემშლელი იქნება, მაშინ უკეთესია, უარი თქვას პარტიის ხელმძღვანელობაზე. თუმცა, არ მგონია, ივანიშვილი შეეწინააღმდეგოს კვირიკაშვილს. პარტიული მექანიზმის აწყობა ფორმალურ ლიდერსაც სჭირდება და არაფორმალურ ლიდერსაც, თუ პარტიამ უნდა იფუნქციონიროს.

# „ბიძინა ივანიშვილს ერთგული ხალხი ჩამოაცილეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ასეა. მინდა ვთხოვო ბიძინა ივანიშვილს, კარგად გადახედოს საკუთარ გარემოცვას. კარგად გადაამოწმოს ის ინფორმაციები, რომლებსაც მას აწვდიან. სამწუხაროდ, მის გარშემო ერთგული ადამიანი ცოტა დარჩა, ისინი პარტიიდან გარიყეს. სამაგიეროდ, მომრავლდა ისეთი ხალხი, რომელიც ნაციონალებთან თანამშრომლობდა. ყველაზე გულდასაწყვეტი ისაა, რომ პარტიაში ამ ადამიანების აღზევება ხდება.

საფუძვლიანი ეჭვი მაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილს შეგნებულად აწვდიან დამახინჯებულ ინფორმაციებს და ის შეცდომაში ჰყავთ შეყვანილი. ეს ინფორმაციები საარჩევნო სიის დაკომპლექტებასთან არის დაკავშირებული. სიას მოქმედი პრემიერი აკომპლექტებს, მაგრამ აზრს ივანიშვილსაც ეკითხებიან და ითვალისწინებენ კიდევაც. როდესაც ასეთი კონსულტაციები მიდის, შესაძლოა, ვიღაც-ვიღაცების სასარგებლოდ არასწორი არჩევანი გაკეთდეს. სერიოზულ ეჭვებს ბადებს ისიც, თუ რატომ ჭიანურდება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის წარდგენა.

***– ეს ეჭვებს რატომ ბადებს, სიის წარსადგენად ჯერ კიდევ აქვთ დრო.***

– ეჭვებს იმიტომ ბადებს, რომ, როგორც ამბობენ, სია დაკომპლექტებულია და მისი წარდგენა გვიანდება. ვიღაცებს ეშინიათ კიდეც ამ სიის წარმოდგენა, იციან, რომ სიის გამოქვეყნებას ხმაური მოჰყვება. სიაში იქნება რამდენიმე ისეთი პირი, რომელთა დასახელებას ხმაური მოჰყვება.

***– არც ამ გვარებს დაასახელებთ?***

– ეს გვარი არაერთხელ მაქვს ნახსენები. სიაში აპირებენ თამარ ჩუგოშვილის ჩასმას, რასაც უარყოფითი რეაქციები მოჰყვება. ეს თავადაც კარგად იციან და ამიტომაც ამოიღეს ის სიის ათეულიდან და ცოტა იქეთ გადაწიეს. სიაში კიდევ ეყოლებათ ხალხისთვის მიუღებელი გვარები.

ქართული ოცნების“ მთავარი მტერი თავად „ქართული ოცნებაა“. არჩევნებზე წარმატებას თუ ვერ მიაღწიეს, ეს მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. როდესაც ერთგულ ადამიანებს არ აფასებ და ნაციონალების პოლიტიკის მძევალი ხდები, ეს კარგ შედეგს არ გამოიღებს.

მოსახლეობას ტერიტორიული მთლიანობისკენ გადადგმული ნაბიჯების ხილვა სურს და არა იმის მოსმენა, რომ ნატოს კარი აუცილებლად გაიღება. „ქართული ოცნების“ ყრილობაზე აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების კონკრეტულ გეგმაზე საუბარი არ ყოფილა. სამაგიეროდ, ბევრი საუბარი იყო ნატოზე და მიგვაჩვიეს იმ აზრს, რომ თითქოს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსია ჩვენი სტრატეგიული ამოცანა. რაც ასე არ არის. ვინც ამას ამბობს, სწორედ ის არის პრორუსული.

***– ნატო სტრატეგიული ამოცანა არ არისო და აბა რა არის?***

– ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ვინ დამიბრუნებს ტერიტორიულ მთლიანობას, ნატო, რუსეთი თუ ყირგიზეთი, საერთოდ არ მაინტერესებს. შეეშვან ამ ნატოზე საუბარს და ტერიტორიების დაბრუნებაზე იფიქრონ. კარგი იქნება, თუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ნატოს მსგავსად, პაატა ბურჭულაძეზეც შეწყვეტენ საუბარს. იმდენს ლანძღავენ, რომ ამით ამ ადამიანს მარკებს უწევენ.

პაატა ბურჭულაძის ხშირად ხსენებას, ურჩევნიათ, სიაში ისეთი ხალხი შეიყვანონ, რომლებიც მოსახლეობაში ნდობით და სიმპათიებით სარგებლობენ. „ქართული ოცნების“ სერიოზული მინუსი არის ისიც, რომ გუნდში ქარიზმატული ფიგურები არ ჰყავთ. ასეთი იყო ირაკლი ღარიბაშვილი. მისი წასვლით მმართველმა გუნდმა ბევრი დაკარგა.

ღარიბაშვილი ხალხს რომ უყვარს, ეს ყრილობაზეც გამოჩნდა. მის გამოჩენას ხალხი რამდენიმეწუთიანი ტაშით შეეგება. ასეთი აღტაცება არც ერთი მოქმედი ლიდერის მიმართ არ გამოუხატავთ. ეს ცოტას არ ნიშნავს. იმედია, ხელისუფლება მის პოტენციალს გამოიყენებს.

***– როგორ გამოიყენებს, ღარიბაშვილმა თქვა, საარჩევნო სიაში არ ვიქნებიო.***

– ეს თქვა, მაგრამ დაამატა, თუ „ოცნებას“ დასჭირდება, გვერდით დავუდგებიო. მგონია, რომ მისი გვერდზე დგომა უკვე სჭირდება „ოცნებას“. ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს.

# ირაკლი გოგავა: „ნაციონალური მოძრაობის გადასარჩენად 250 კაცი შეიკრიბება“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო კვლევითი ცენტრის, საქართველოს განვითარების ლაბორატორიის დირექტორი ირაკლი გოგავა აფასებს.

***– ბატონო ირაკლი, თქვენ აირაის ერაყის ოფისის ხელმძღვანელი იყავით. დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი უნდობლობას უცხადებს სოციოლოგიურ კვლევებს. რატომ არ არის მაღალი ნდობა, რატომ არ ენდობა ხალხი ენდიაის და აირაის კვლევებს?***

– აირაიზე მე კომენტარს არ ვაკეთებ. ხოლო ენდიაის რაც შეეხება, მთავარი მიზეზი ალბათ იმ ორგანიზაციაშია, რომელსაც ის კვლევებს უკვეთავს.

***– ანუ?***

– ანუ ის ორგანიზაცია, რომელიც ენდიაის ჰყავდა დაქირავებული, წინასწარ მომზადებულ ველზე ატარებს კვლევებს, რაც ცალკეული პოლიტიკური პარტიებისთვის უპირატეს მდგომარეობას გულისხმობს.

***– წინასაარჩევნოდ ბევრი ახალი მოთამაშე გამოჩნდა პოლიტიკურ ბაზარზე. ნაციონალურმა მოძრაობამ საზოგადოებას განახლებული სია წარუდგინა, ახალი სახეები წამოვიდნენ წინა პლანზე, რამდენად უშველით განახლება და რებრენდინგი?***

– ხალხში მხარდაჭერა ნაციონალებს არ აქვს. ამ პარტიის მხარდამჭერთა რიცხვი შემოიფარგლება მხოლოდ იმ ადამიანებით, ვინც კომფორტულად ცხოვრობდა მათი რეჟიმის დროს. ამდენად, არჩევნების გზით ისინი ხელისუფლებაში რომ ვერ მოვლენ, ეს ყველას კარგად ესმის. შესაბამისად, ისინი შეეცდებიან 2003 წლის აპრობირებული სცენარის გამეორებას, როდესაც სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში. იგივე სცენარის გათამაშებას შეეცდებიან.

რაც შეეხება მათ განახლებულ სიას, ამ სიაში პირველი ნომერიც, მეორე ნომერიც და მეასე ნომერიც არის მიხეილ სააკაშვილი. ამიტომ, რაც უნდა დიმიტრი გელოვანები ჩაწერონ სიაში, ხალხმა ან უნდა მისცეს ხმა, ან არ უნდა მისცეს მიხეილ სააკაშვილს.

***– თქვენ საუბრობთ რევოლუციური გზით მოსვლის შესახებ. რამდენად გამოუვათ ეს სცენარი?***

– მე ვფიქრობ, რომ რესურსი მათ აღარ აქვთ. თუმცა დიდი ფული გააჩნიათ, მაგრამ ხალხის ნდობის რესურსი ნამდვილად არ აქვთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შეეცდებიან, მაგრამ ვერ შეძლებენ გადატრიალების მოწყობას.

***– საუბარია, რომ მათ ამერიკა უჭერს მხარს, კონკრეტულად რომელ ძალებზეა საუბარი? ვინ არის მათი მხარდამჭერი?***

– ამერიკა სწორედ რომ არ უჭერს მხარს. ამერიკაში საქართველოს საკითხი არ არის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი. ამდენად, ვისაც გავლენა აქვს, ისინი არ ერევიან, უბრალოდ, სხვა საქმით არიან დაკავებულნი, მაგრამ არის სამხედრო სამრეწველო ჯგუფი, ეს არის კერძო ბიზნესი, რომელსაც აინტერესებს მოკავშირე პოლიტიკოსების ყოლა სხვადასხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით იქ, სადაც კონფლიქტების ალბათობა მაღალია.

ეს ჯგუფი ნამდვილად უჭერს მხარს სააკაშვილს. ეს გავლენიანი ჯგუფია, თუმცა არა ერთადერთი და არა წამყვანი ჯგუფი ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ არის უაღრესად პროგრესულად მოაზროვნე რესპუბლიკელი, არიან დემოკრატები, ისინი მხარს არ უჭერენ სააკაშვილს და მას შოუმენს უწოდებენ.

***– რა ინტერესი აქვს საქართველოში ამ სამხედრო სამრეწველო ჯგუფს?***

– ის ინტერესი აქვს, რომ რაც შეიძლება მეტი შეკვეთა მიიღოს ამერიკის ფედერალური ბიუჯეტიდან სამხედრო ხარჯებზე. ნებისმიერი კონფლიქტი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც შეიძლება ამერიკის ინტერესი პოტენციურად მიბმული იყოს, არის მათთვის წყარო, რომ ახალი შეკვეთები მიიღონ ამერიკის მთავრობისგან და აიღონ თანხები ამერიკის ფედერალური ბიუჯეტიდან.

***– აქ საუბარია მხოლოდ ფინანსურ ინტერესზე?***

– რა თქმა უნდა, ცალსახად. ნებისმიერი უცხოელი პოლიტიკოსი, ვინც სააკაშვილს გვერდში უდგება და მხარდაჭერას გამოუთქვამს, ცალსახად არის ფინანსურად დაინტერესებული. სხვა შემთხვევაში, ნორმალურად მოაზროვნე პოლიტიკოსი, გინდა ევროპელი, გინდა ამერიკელი, სისხლიან დიქტატორს დახმარებას ვერ აღმოუჩენს და რეპუტაციას არ გაიფუჭებს.

***– ახალი მოთამაშე შემოვიდა პოლიტიკურ ბაზარზე, პაატა ბურჭულაძის და მისი პოლიტიკური პარტიის სახით. როგორია თქვენი შეფასებები, რა შანსები აქვთ? ძალიან ბევრი პაატა ბურჭულაძეს და მის პარტიას ნაციონალების სატელიტად მიიჩნევს. ამაზე რას იტყვით?***

– ვერ გეტყვით, ალბათ ყველაფერს დრო გამოაჩენს. პაატა ბურჭულაძე ძალიან მომწონდა, როგორც მომღერალი. პოლიტიკოსი როგორი იქნება, ალბათ ამას დრო აჩვენებს. მოუწევს მას დაფიქსირება საკუთარი პოზიციების ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით და ამ ყველაფერზე მივიღებთ ნათელ სურათს.

***– დანარჩენ ოპოზიციაზე რისი თქმა შეგიძლიათ? ბოლო დღეებია, დიდი ყურადღების ცენტრშია ალასანია და მისი გუნდი კაბელების საქმიდან გამომდინარე. რამდენად ხედავთ ხელისუფლების ინტერესს ამ საქმეში?***

– პროკურატურა ამბობს და ამტკიცებს, რომ ფული მოიპარეს, თვითონ ამბობენ, რომ არ მოუპარავთ. მე ნამდვილად ვერ შევაფასებ ამას, იმიტომ, რომ საქმეს არ ვიცნობ. თვითონ ალასანია ნორმალურ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენს. მას აქვს გარკვეული მხარდაჭერა. ზუსტად არ ვიცი, რამდენი პროცენტი და რამდენი ადამიანი უჭერს მხარს, მაგრამ ჩემთვის მისაღებია მისი პროდასავლური კურსი. პირადად მე ალასანიასთან პრობლემა არ მაქვს.

***– წინასაარჩევნოდ მოხდება ერთნაირი ორიენტაციის მქონე პარტიების დაჯგუფება? საუბარია ალასანიას, რესპუბლიკელების და ნაციონალების ერთი ჯგუფის ალიანსზე.***

– დაჯგუფებები წარმოიშვება საარჩევნოდ. დაახლოებით ივლისში გამოჩნდება ყველაზე მკაფიოდ. რესპუბლიკელებს მხარდაჭერა არა აქვთ, განსაკუთრებით უსუფაშვილ-ხიდაშელის ფაქტორის გათვალისწინებით. ისინი ცალსახად უნდა მიეკედლონ ვილაცას, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა, რომ ისინი პარლამენტში მოხვდნენ. რა თქმა უნდა, ისინი მივლენ ალასანიასთან, მივლენ სხვებთანაც და



რა და როგორ განლაგდება, ეს ივლისში გამოჩნდება.

***– სახელისუფლებო გუნდზე რისი თქმა შეგიძლიათ? როგორ აფასებთ მათ ოთხწლიან მმართველობას? საზოგადოებაში საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს „ოცნებას“. როგორია თქვენი შეფასებები?***

– რა თქმა უნდა, ბევრი უკმაყოფილო ჰყავთ და საკმაოდ სამართლიანადაც. ხალხი არის განრისხებული. დაპირებები ჰაერშია გამოკიდებული. რაღაც ნაწილში მუშაობენ, რაღაც ნაწილში ვერ მუშაობენ, თუმცა მე დღეს ოდნავ სხვანაირად შევხედავდი ამ სიტუაციას.

***– როგორ?***

– პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია ისეთი ძალის მოსვლა ხელისუფლებაში და მომავალ პარლამენტში, რომელიც არასდროს იქნება ნაციონალური მოძრაობის მოკავშირე, ვინაიდან ნაციონალური მოძრაობა არის კრიმინალური ჯგუფი. მათ, სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს 2012 წლის შემდეგ რებრენდინგი, ვერ შეძლეს კრიმინალური ლიდერის ჩამოშორება, ამიტომ თავის თავს უნდა დააბრალონ ყველაფერი. ამიტომ ნებისმიერი ძალა, რომელიც მათ პოტენციურადაც კი არ შეეკვრება, ჩემთვის იქნება მისაღები ძალა პარლამენტში. მათ შორის „ქართული ოცნებაც“.

***– ექნება „ოცნებას“ მხარდაჭერა 2016 წლის არჩევნებში?***

– „ოცნებამ“ ქვეყანა ვერ ააყვავა, მაგრამ ისეთი საზიზღრობებიც, რასაც წინა ხელისუფლებამ გააკეთა, არაფერი გაუკეთებია. ამიტომ ზიზღის ხარისხი „ოცნების“ მიმართ მოსახლეობაში არ არის, უკმაყოფილების ხარისხი მაღალია და სამართლიანიც.

„ოცნების“ მთავარი პრობლემა მთელი ამ წლების განმავლობაში იყო ნეპოტიზმი. ნეპოტიზმი არის არაპროფესიონალების და არაკომპეტენტურობის ბუდე, რომელიც აფერხებს ნებისმიერ საქმეს. რეფორმებია საჭირო ეკონომიკის სფეროში და მთავარი, რასაც უნდა მიაქციონ ყურადღება, ეს არის სამუშაო ადგილები.

***– შეძლებს ხელისუფლება, რომ არჩევნები ჩაატაროს დაძაბულობის და ექსცესების გარეშე?***

– ხელისუფლება ვერ შეძლებს ამას. დაძაბულობა და ექსცესები იქნება, ვინაიდან სწორედ ამაზე გათვლიან ნაციონალები, მაგრამ სამართალდამცავებში პროფესიონალები მუშაობენ და, ვფიქრობ, ისინი დროულ რეაგირებას მოახდენენ და იზოლირებას გაუკეთებენ მსგავს პროცესებს.

***– კეთდება შეფასებები, რომ მწვავე აქციებს, გამოსვლებს უნდა ველოდოთ არჩევნების შემდეგ და არა – არჩევნებამდე. ამაზე რას იტყვით?***

– რა თქმა უნდა, არჩევნებს დაელოდებიან. იდეალური არჩევნებიც რომ ჩატარდეს, ის შეფასდება, რომ არალეგიტიმურია, რომ დაირღვა ამომრჩეველთა უფლებები და ასე შემდეგ, როგორც ეს რევოლუციის სახელმძღვანელოში წერია. შეეცდებიან მასობრივი გამოსვლების ორგანიზებას. შეიძლება სისხლისღვრაზეც კი წავიდნენ პროვოკაციის მიზნით, მაგრამ მათი შეკრებები გვახსოვს ჩვენ რუსთავი 2-ის ეზოში, 200 კაცი როცა შეკრიბა რუსთავი 2-ის გადასარჩენად.

ჩემი აზრით, ნაციონალური მოძრაობის გადასარჩენად 250 კაცამდე შეიკრიბება. ეს იქნება საბოლოო შედეგი.

# ბოკერია საარჩევნო სიაში არის მე-14, მაჭავარიანი — 29-ე

## მოხვდება თუ არა პარლამენტში სკანდალური ბასიშვილი

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა თავის საარჩევნო სიას ნელ-ნელა ასაჯაროებს. მართალია, ოფიციალურად მხოლოდ სიის პირველი ათეული წარადგინეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, სხვა ათეულებიც უკვე დაკომპლექტებულია.

როგორც მოსალოდნელი იყო, საარჩევნო სიაში მოხვდა გიგა ბოკერია. გიორგი ქადაგიძემ და ეკა ტყეშელაშვილმა რიგი მიზეზების გამო სიაში ჩასმაზე თავად თქვეს უარი.

ნაციონალებთან დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ განუცხადა, რომ ერთსაც და მეორესაც პირველ ათეულში მოიაზრებდნენ, მაგრამ ორივემ უარი თქვა სიაზე.

რამდენიმე თვის წინ მიხეილ მაჭავარიანმა „ახალ თაობასთან“ განაცხადა, რომ მათ სიაში მხოლოდ ერთი სპორტსმენი იქნებოდა, დანაპირები პატიოსნად შესრულდა და სიაში კუნთმაგართა სამყაროდან მხოლოდ ზაზა კედელაშვილი მოხვდა. ის ამ მომენტისთვის დედოფლისწყაროს მოქმედი მაჟორიტარია.

ნაციონალების საარჩევნო სიის 50 კაციანი შემადგენლობა პირველმა რადიომ გაასაჯაროვა. მათი თქმით, პირველი ათეულის გარდა, სიაში, შესაძლოა, რაღაც ცვლილებები შევიდეს.

„ქართული ოცნებისა“ არ იყოს, ახალი სახეებით არც ნაციონალები გამოირჩევიან. ბადრი ბასიშვილის და აკაკი ბობოხიძის გამოჩენას მაინც არავინ ელოდა ნაციონალების სიაში. ნაციონალებმა, ეტყობა, იციან, რომ მომავალ პარლამენტში დიდი ამბები იქნება და მარტო კედელაშვილის იმედად ყოფნა არ შეიძლება. ჩხუბი და მუშტი-კრივი ბობოხიძემ კარგად იცის და ამიტომაც მოხვდა სიაში მე-13 ნომრად.

სიის პირველი ათეული ერს უკვე დაზეპი-





რებული აქვს, მაგრამ ზრდილობის გულისთვის მაინც შეგახსენებთ პარტიის მედროშეებს.

პირველ ათეულს დავით ბაქრაძე, ელენე ხოშტარია, რომან გოცირიძე, ნიკა მელია, გიორგი ტუღუში, ოთო კახიძე, სალომე სამადაშვილი, ირაკლი აბესაძე, სერგი კაპანაძე და სერგო რატიანი ამშვენებენ.

ამ ათეულიდან ყველაზე მეტი აგრესია რომან გოცირიძემ გამოიწვია. ნახევარი საქართველო მის გინებაშია. გოცირიძის ასეთმა პოპულარობამ სერიოზულად შეაწუხა ფეისბუქ მომხმარებელი დათო მდივანი, რომელმაც ერს საგანგებოდ მიმართა.

– ყველა რომ რომან გოცირიძეს აგინებთ, დანარჩენმა 9-ამ რა დაგიშავათ? – კითხულობს მდივანი.

პირველ ათეულზე არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება მეორე ათეული. მეორე ათეულის სათავეში გიორგი კანდელაკია, რომელსაც, წესით, ადგილი პირველ ათეულში ეკუთვნოდა. საერთაშორისო ასპარეზზე ის „ქართულ ოცნებას“ სისხლს უშრობს.

ამ ათეულში მოხვდა გიგა ბოკერიაც, რომელიც, როგორც ამბობენ, ამ სიის ავტორია.

მეორე ათეული ასე გამოიყურება: გიორგი კანდელაკი, ლელა ქებურია, კაკო ბობოხიძე, გიგა ბოკერია, თენგიზ გუნავა, ირმა ნადირაშვილი, აზერ სულეიმანოვი, თინა ბოკუჩავა, გიორგი თევდორაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ხელწამოსაკრავი არც მესამე ათეულია. ამ ათეულში მოხვდნენ მიხეილ მაჭავარიანი და ხათუნა გოგორიშვილი, რომლებიც პარტიიდან გაქცეულმა ვაშაძემ დიქტატორობაში დაადანაშაულა.

ამ ათეულს ყველასთვის კარგად ნაცნობი ბადრი ბასიშვილი აგვირგვინებს, რომელმაც ერს თავი ზონდერობით და ოპოზიციის მიტინგების რბევით დაამახსოვრა.

პარტიის მამებმა და დედებმა სიის მესამე ათეული ასე დააკომპლექტეს: ლაშა დამენია, ხათუნა გოგორიშვილი, ნიკოლოზ ნაყოფია, ზაზა კედელაშვილი, მამუკა ჩიქოვანი, გიგი წერეთელი, გიორგი ღვინიაშვილი, ასმათ დიასამიძე, მიშა მაჭავარიანი, ბადრი ბასიშვილი.

მთლად უცნობი სახეებით არც მეოთხე ათეული შეუვსიათ. აქ ყველაზე მეტად დავით დარჩიაშვილი და ნინო კალანდაძე ბრწყინავენ.

ეს ათეული ასე გამოიყურება: ზურაბ ჩილინგარიშვილი, ნინო კალანდაძე, დიტო ძაგნიძე, ლევან თარხნიშვილი, ლევან კონჯარია, სოფო სიუკაევა, მამუკა სალარეიშვილი, ნინო კვიტაშვილი, ბესიკ კვიციანი და დავით დარჩიაშვილი.

ცნობადობის თვალსაზრისით შედარებით მოკრძალებულია მეხუთე ათეული და ის ასე გამოიყურება: ხათუნა ბერძენიშვილი, ლალი რამინაშვილი, კახა მიქელაძე, ბესო წერედიანი, ზვიად დუშმანაშვილი, გევორქ შუშანიანი, ლაშა იმერლიშვილი, თამარ დალაქიშვილი, ოთარ სირაძე და ვიტალი გოგუაძე.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# იანვარ-მარტში საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად 143 ადამიანი დაიღუპა, 1994 კი დაშავდა

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად 143 ადამიანი დაიღუპა, 1994 კი დაშავდა.

საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების 2015 და 2016 წლების სამი თვის, იანვარ-მარტის სტატისტიკა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით „ინტერპრესნიუსს“ არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ მიაწოდა.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოში სულ 1.424 საგზაო შემთხვევა მოხდა. აქედან თბილისში 674.

სამი თვის განმავლობაში, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 143 ადამიანი დაიღუპა და 1.994 დაშავდა. მათგან, თბილისში 26 დაიღუპა და 876 დაშავდა. დაღუპულებს შორის საქართველოს მასშტაბით 32 ქვეითია, აქედან თბილისში 14, დაშავებული ქვეითების რაოდენობა 445-ია, თბილისში 275.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდში, 2015 წლის იანვარ-მარტში, საქართველოში 1.322 საგზაო შემთხვევა მოხდა, მათგან თბილისში 619.

დაიღუპა 135 და დაშავდა 1.888 ადამიანი, აქედან თბილისში 18 ადამიანი დაიღუპა, 832 კი დაშავდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ყველა მონაცემის ზრდაზე ამახვილებს ყურადღებას.

მათი ინფორმაციით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წელს, იანვარ-მარტში საქართველოში საგზაო შემთხვევები 7,7%-ით არის გაზრდილი, თბილისში კი 8,9%-ით. დაღუპულთა რაოდენობა საქართველოში 5,9%-ით არის გაზრდილი, თბილისში 44,4%-ით.

დაშავებულთა რაოდენობა საქართველოში 5,6%-ით გაიზარდა, თბილისში კი, 5,3%-ით.

რაც შეეხება ქვეითებთან დაკავშირებულ



მაჩვენებელს, ანალოგიურ პერიოდში, 2015 წელს, იანვარ-მარტში საქართველოში 30 ქვეითი დაიღუპა, 396 კი დაშავდა. აქედან თბილისში 5 ქვეითი დაიღუპა, 257 კი დაშავდა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წელს, იანვარ-მარტში ქვეითების დაღუპვის შემთხვევები საქართველოში 6,67%-ით, თბილისში კი 180%-ით არის გაზრდილი.

ქვეითთა დაშავების შემთხვევები საქართველოში 12,37%-ით, თბილისში კი 7%-ით არის გაზრდილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარის, ეკატერინე ლალიაშვილის შეფასებით, აღნიშნული მონაცემები კატასტროფულია.

ლალიაშვილი გამოსავლის გზებზე საუბრობს და პარლამენტის როლზე ამახვილებს ყურადღებას.

– პრევენციული ზომებია: საგზაო უსაფრთოების ეროვნული სტარტეგიისა და სამოქმედო გეგმის 2016-2020 წლების დამტკიცება მთავრობის მიერ სასწრაფო რეჟიმში და მის განხორციელებაზე მუშაობა.

წინასწარ უნდა ვიცოდეთ, 4 წლის განმავლობაში რა კონკრეტული ღონისძიებები, ცვლილებები, რეფორმები უნდა გატარდეს, იმისთვის რომ 5– 10%-ით შემცირდეს სიკვდილიანობა გზებზე ერთი წლის განმავლობაში და ამ მიზნის მისაღწევად ყველა ღონე უნდა გამოიყენოს ხელისუფლებამ.

კანონპროექტი, რომელიც შსს-მ წარადგინა და თვეების განმავლობაში შეფერხებულია, ეს არის ერთ ერთი უმნიშველოვანესი, რომელშიც ქულების სისტემის შემოღება და ბევრი სხვა სასიკეთო ცვლილება იგეგმება, რაც მოახდენს სიკვდილიანობის პრევენციას.

მძღოლებს ბევრად კანონმორჩილ და პასუხისმგებლიან საგზაო მოძრაობის მონაწილეებად ჩამოაყალიბებს. ამ კანონის შეფერხება ამდენი ხნით, როცა ამდენი ადამიანი გველუპება – დანაშაულია, – აღნიშნა ეკატერინე ლალიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# მთავრობამ საპატრიარქოს 3.737.400 ლარი გამოუყო

საპატრიარქოს სამებაში ხანძრის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რესტავრაციისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3.737.400 ლარი გამოეყო.

საქართველოს მთავრობის შესაამისი განკარგულება მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– სამების საკათედრო-საპატრიარქო ტაძარში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რესტავრაცია-აღდგენის და მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინის-



ტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოს გამოუყოს 3.737.400 ლარი, – ნათქვამია მთავრობის განკარგულებაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აწერს ხელს.

შეგახსენებთ, რომ სამების საკათედრო ტაძარში, პირველ სართულზე ხანძარი 20 მარტს, საკვირაო ქადაგების შემდეგ გაჩნდა. შედეგად 1200 კვადრატული მეტრი ფართობი დაიწვა.

**ინტერპრესნიუსი**

# საითკენ მივყავართ მიწის საკითხს ყაზახეთში

ბოლოდროინდელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ ყაზახეთი, როგორც ცენტრალური აზიის საკვანძო ქვეყანა, შერჩეულია ახალ პოლიგონად საინფორმაციო ომის მორიგი რაუნდისათვის. და თუ ადრე ოფიციალური ასტანა თავს იკავებდა მასში მონაწილეობისაგან, დღეს არჩევანი დგას იმისა, თუ შემდგომში როგორ მოიქცევა ხელისუფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მსოფლიოში გაჩნდა ორი ყაზახეთი. ერთი რეალური, რომელიც აგრძელებს მშვიდობიანად ცხოვრებას და შრომას; მეორე – ვირტუალური, რომელიც წარმოადგენს დამახინჯებულ და ზოგჯერ გროტესკულ სურათს.

პირველს მე ვიცნობ, რადგან საქმიანი ვიზიტებით ხშირად ჩავდივარ ასტანაში და რეგიონებში. მეორეს გაცნობა სულ ახლახან დავიწყე გაკვირვებით. რატომ გაკვირვებით? იმიტომ, რომ პირველად თვალნათლივ ვნახე ის, თუ როგორ ხდება სუვერენული სახელმწიფოს საინფორმაციო დაბომბვა, მშვიდობიან ტერიტორიას ცეცხლს როგორ უხსნიან ინტერნეტბოტები და ტროლი-ბლოგერები, რომლებიც ინტერნეტსივრცეს ანაგვიანებენ სხვადასხვა სახის ფალსიფიკაციითა და გაყალბებით.

დღეს ყაზახეთის არასპეციალისტიც კი ხედავს, როგორ გაიზარდა მკვეთრად უარყოფითი ინფორმაციის ნაკადები ამ ქვეყანასთან მიმართებაში. და, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რასთან გვაქვს საქმე?

როგორც გაირკვა, შებრკოლების ლოდად იქცა მიწის საკითხი. სწორედ ეს თემა დომინირებს სოციალურ ქსელებში, რესპუბლიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო მასმედიაში. საუბარია ყაზახეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსში მიღებულ ცვლილებებზე, რომლებიც თურმე უცხოელებს ნებას რთავს საკუთრებაში შეიძინონ ყაზახეთის მიწა. ბუნებრივია, ამან საზოგადოების მკვეთრი მიუღებლობა გამოიწვია.

თუმცა, სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მიწა აქ მთავარი არ არის. მით უმეტეს, რომ საბაბი სოციალური უკმაყოფილებისათვის, რბილად რომ ვთქვათ, ცარიელ ადგილზე გაჩნდა.

ღრმად თუ ჩავიხედებით, ხმაური ატყდა მიწის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების გარშემო, რომელთა ამოქმედება იგეგმებოდა 2016 წლის 1 ივლისიდან. კერძოდ, ისინი ითვალისწინებენ აუქციონების მეშვეობით მიწის ნაკვეთების პირად საკუთრებაში გამოსყიდვის საშუალებას. მაგრამ ეს ნორმა ეხება მხოლოდ ყაზახელებს. ამ ფაქტზე სიმშვიდის დამრღვევები საეჭვოდ დუმან.

ანუ არანაირ მიწის გაყიდვაზე საუბარიც კი არ ყოფილა. უცხოელ ინვესტორებს უფლება აქვთ, მხოლოდ იჯარით აიღონ მიწა. თანახმად 2014 წელს კანონმდებლობაში შეტანილი შესწორებებისა, იჯარის ვადა გაზრდილი იქნა 10-დან 25 წლამდე. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება საკმაოდ არსებით დეტალზე – ეს ნორმა, როგორც მინიმუმ, 1,5 წლისაა, და ადრე იგი არ იმსახურებდა არანაირ საყვედურს. მეორე: იჯარის ვადის გაზრდა პასუხობს ყაზახეთის რესპუბლიკის სტრატეგიულ ამოცანებს, რომლებიც უკავშირდება ინვესტორების მოზიდვას სოფლის მეურნეობაში. ეს ხომ საკმაოდ კაპიტალტევადი დარგია და უკუგების მისაღებად ათი წელი საკმარისი არ არის.

მაშინ მაინცდამაინც დღეს რატომ ხდება ნეგატიური რიტორიკის მკვეთრი ზრდა? რატომ ხდება სიტყვის „იჯარა“ ჯიუტად ჩანაცვლება სიტყვით „გაყიდვა“. ჯიუტად რატომ ცდილობს ვიღაც, დაარწმუნოს ხალხი, რომ უცხოელი მოიჯარე აუცილებლად მოახდენს მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის „ოკუპირებას“?

ყველაფერი ადვილად აიხსნება: რომ არ ყოფილიყო მიწის თემა, აუცილებლად გამოჩნდებოდა სხვა თემა. ხომ მოქმედებს კულისებსმიღმა ტექნოლოგიები, რომლებმაც აამოქმედეს ყაზახეთის დესტაბილიზაციის სცენარი, პრინციპით: რაც უფრო შემზარავია ტყუილი, მით უფრო იჯერებენ მას ადამიანები. სწორედ ამ სერიიდან არის ის აშკარა ფეიკები, რომლებიც ძირს უთხრიან ყაზახეთის სამართალდამცავი ორგანოების ავტორიტეტს.

2016 წლის 1 მაისს, რაც, საყურადღებოა, ერთიანობის დღესასწაულია, სოციალური ქსელები და მობილური აპლიკაციები ააფეთქა გასისხლიანებული მამაკაცის ფოტოსურათმა, რომელიც კიზილორდში (რესპუბლიკის ერთ-ერთი საოლქო ცენტრი) თითქოს პოლიციის ზეწოლის მსხვერპლი იყო. თუმცა, როგორც გაირკვა, ფოტოსურათი აღებული იქნა საიტიდან AJANSHABERLER, ახალი ამბებიდან, იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩინეთში 2015 წლის თებერვალში. და ეს არის ერთ-ერთი მრავალი ფაქტიდან, რომლებიც მოწმობენ იმაზე, რომ გარკვეულმა ძალებმა ყაზახეთს გამოუცხადეს საინფორმაციო ომი.

ისევე, როგორც თითიდან გამოწოვილი მიწის კონფლიქტი, სხვა აქტუალური თემებიც შეგნებულად მახინჯდება, რითაც ადამიანების ცნობიერებაში ინერგება დესტაბილიზაციის განწყობა. ამას, გარკვეულწილად, ხელს უწყობს გაჭიანურებული ნედლეულის კრიზისი, ნავთობსა და ლითონზე ფასების ვარდნა. მიუხედავად დიდი ინდუსტრიალიზაციის გატარებისა, ყაზახეთი ხომ ჯერჯერობით ნედლეულის ეკონომიკად რჩება.

ხელისუფლების ინსტიტუციონალური ინიციატივები, რომლებსაც აქ უწოდებენ „ერის გეგმა – ასი ნაბიჯი“, მიზნად ისახავს სწორედ ნახშირწყალბადის დამოკიდებულების თავიდან აცილებას. ეკონომიკის დარგში ეს ნიშების ძიებაში ვლინდება მსოფლიო ბაზარზე, სადაც ყაზახეთს შეეძლო ნამდვილად კონკურენტუნარიანი გამხდარიყო. ერთ-ერთი ასეთი ნიში სწორედ რომ სოფლის მეურნეობაა. დღესდღეობით ამ სფეროში იგეგმება 1 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების 22 უმსხვილესი პროექტის ამოქმედება. თუმცა, ესეც მხოლოდ დასაწყისია. ყაზახეთის პრეზიდენტის ამასწინანდელმა საგარეო ვიზიტებმა ცხადყო, რომ ეს სფერო დიდ ინტერესს იწვევს ირანში, თურქეთსა და მრავალ სხვა სახელმწიფოში. ყოველივე ეს ერთად აღებული ქვეყანას მოუტანს ახალ ინვესტიციებს და მოწინავე ტექნოლოგიებს, შესაძლებელს გახდის რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის განვითარებას.

თავის დროზე ასე მოიქცა თურქეთი, როდესაც მან ხმელთაშუა ზღვის სანაპირო უსასყიდლოდ იჯარით გასცა უცხოურ ბიზნესზე და შედეგად მძლავრი ტურისტული ინდუსტრია ააშენა.

ანუ სარგებელი ცხადია. მაშ, რას ვხედავთ შედეგად? ვხედავთ, რომ მოულოდნელად, ყველაზე არახელსაყრელ მომენტში გაჩნდა საჯარო დისკუსიები მიწის საკითხზე, რომლებიც უეცრად ძალიან გამწვავდა. და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სიტუაცია კვლავ სტაბილურია, სოციალურ ქსელებში ვნებათაღელვა არ ნელდება, რაც ხელისუფლების ნეგატიური იმიჯის შექმნას უწყობს ხელს. ხოლო ის, თუ რა შეიძლება ამას მოყვეს, ნებისმიერმა ადამიანმა იცის: როგორც მინიმუმ, მრავალმა ინვესტორმა, რომელსაც განზრახული აქვს ყაზახეთში შემოსვლა, შეიძლება გადახედოს თავის პოლიტიკას ამ ქვეყანასთან მიმართებაში.

ზოგი არასამთავრობო ორგანიზაცია ყაზახეთის კეთილდღეობაზე მოჩვენებითი ზრუნვის საბაბით ფაქტიურად ძირგამომთხრელ საქმიანობას ატარებს: ინვესტორებთან ბრძოლა, მოწოდებები მათი ქონების ნაციონალიზაციის მოთხოვნით, საგანმანათლებლო რეფორმების კრიტიკა. გამოიყენება ნებისმიერი არგუმენტი, ხოლო თუ არგუმენტები არ არის, მათ იგონებენ. ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევებში იწყება ვინმე საკრალური ფიგურის ძიება, რომელიც შეძლებს სოციალური აფეთქების უზრუნველყოფას. პოლიციელების მიერ სასტიკად ნაცემი გამოგონილი პერსონაჟი – ეს არის მხოლოდ საზოგადოების განრისხების მცდელობა, საზოგადოებრივი აზრის ზონდაჟი. ასე რომ, ვფიქრობ, ძალიან მალე უნდა ველოდოთ პროვოკაციებს.

ბუნებრივია, ბევრ ადამიანს აინტერესებს, ვის სჭირდება სტაბილურობის დარღვევა ქვეყანაში, რომელსაც სიდიდით მე-9 ადგილი უკავია მსოფლიოში და რომელიც მდებარეობს მსოფლიოს ორი გავლენიანი მოთამაშის – რუსეთსა და ჩინეთს შორის.

ამ კითხვას ღიად დავტოვებ, რადგან არ ვარ კონსპიროლოგიური თეორიების მომხრე. სამაგიეროდ, ადვილად შეიძლება ითქვას, რა იქნება, თუ ყაზახეთში შეეცდებიან გაიმეორონ უკრაინის ან ყირგიზეთის სცენარი. ასეთ შემთხვევაში მოგვიწევს დავივიწყოთ ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების შესახებ, იგი ნედლეულის ნემსზე დარჩება და იქნება ისეთივე მოწყვლადი. ამან შეიძლება ჩაშალოს რესპუბლიკის გეგმები ევრაზიის სატრანსპორტო და საფინანსო ჰაბად ყაზახეთის გადაქცევის შესახებ. კერძოდ, სატრანზიტო პოტენციალთან დაკავშირებით, ასტანა წარმოადგენს პროგრამის „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ აქტიურ მონაწილეს. იგი ქვეყანას აქცევს სატრანსპორტო ხიდად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ახლახან გახსნილ გზას თურქმენეთსა და ირანის გავლით სპარსეთის ყურეში, იხსნება გზა ჩრდილოეთი-სამხრეთის ხაზით.

სწორედ ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი დღეს წარმოადგენს უდავო შუამავალს, რომელიც შესაძლებელს ხდის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფარგლებში მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას ევროკავშირთან ორი ინტეგრაციული გაერთიანების პოზიციების დაახლოების მეშვეობით. სწორედ ყაზახეთში მიედინება იმ სახელმწიფოთა ინვესტიციები, რომლებიც სირთულეებს აწყდებიან რუსეთთან მუშაობისას. კერძოდ, ეს შეეხება თურქულ ბიზნესს.

ანუ იქმნება სრული წარმოდგენა იმისა, რომ საინფორმაციო შეტევა მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს ეკონომიკურ ზრდას არა იმდენად ყაზახეთისა, არამედ მისი მეზობლებისა. ვუშვებ აზრს, რომ არავინ არ ისახავს მიზნად ყაზახეთის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, დაშლას. ამ ქვეყანას ძალზე დიდი აქვს სიმტკიცის რეზერვი, მაგრამ ცხოვრების გართულება – ეს უთუოდ ასეა. ზრდადი გლობალური დაპირისპირების ფონზე ასეთი სტრატეგია შეიძლება ისახავდეს რამდენიმე მიზანს და ერთ-ერთი მათგანია აიძულოს ასტანა შეცვალოს თავისი მრავალვექტორული პოლიტიკა, ვიღაცის მხარეზე დადგეს მოსალოდნელ გლობალურ დაპირისპირებაში.

**ზაზა მეზვრიშვილი**

# ვახტანგ მაისაია: „რუსეთს ისლამურ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა აქვს“

**ისლამური სახალიფო ნავთობს ყიდდა ასადის რეჟიმის მომხრეებზე, რუსული ბანკი ახორციელებდა ფინანსურ უზრუნველყოფას. ასეთ გარიგებებში დაფიქსირებულია ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი. ამიტომ ჩამოაცილეს ფიდეს პრეზიდენტობას. ამერიკამ კი მასზე სანქცია გასცა.**



გულიკო ბალაძე

**ცოტა ხნის წინ კავკასიაში შეტაკება მოხდა, სადაც დაიღუპა 5 და დაიჭრა 15 ადამიანი. პასუხისმგებლობა მომხდარზე ისლამურმა ხალიფატმა აიღო. ხალიფატის შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამხედრო-პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია საუბრობს.**

– რუსეთი იბრძოდა არა ისლამური სახელმწიფოს, არამედ ჯაფხატ ალ მუსრას წინააღმდეგ, რომელიც ალქაიდას ეგიდით მოქმედებს. ისლამურ სახელმწიფოსთან კი რუსეთს კარგი ურთიერთობა აქვს. მათ საერთო ენა გამონახეს, – განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

***– ახლო აღმოსავლეთში ვითარება იცვლება? ბნელი ძალა, რომელიც მთელ მსოფლიოს შთანთქმას უპირებს და ტერორით ემუქრება, იმუსრება?***

– არაფერი მსგავსი არ ხდება. ისლამურმა სახელმწიფომ აღადგინა ძალთა ბალანსი და თავისი მდგომარეობის სტაბილიზაციას მიაღწია. ტერიტორიები მცირე ხნით თუ დაკარგა, ისევ აღიდგინა. პირიქით, ნავთობითა და გაზით მდიდარი რამდენიმე რაიონი ხელში ჩაიგდო ხომსის პროვინციაში. სიტუაცია თანაბარია, ბალანსირებულია.

***– ინფორმაცია იყო, რომ მან ერაყში გარკვეული ტერიტორიები დაკარგა.***

– ბრძოლებია, ისლამურმა სახალიფომ რაღაც ტერიტორიები დაკარგა, მაგრამ ისევ აღიდგინა. მოძველებული ინფორმაციებია. პალმირა კი დაკარგა, მაგრამ ხომსის პროვინციაში ტერიტორიები დაიკავა, ანუ კიდევ უფრო გააფართოვა თავისი ნავთობისა და გაზის მარაგების პოტენციალი.

***– ნავთობითა და გაზით მდიდარი რაიონებია?***

– დიახ, სამი რაიონი დაიკავა, რითაც უფრო გააძლიერა თავისი ენერგომატარებლების პოტენციალი. სირიაში სამოქალაქო ომია და ტერიტორიის დაკარგვა ძალიან პირობითია. თუ არ დაკარგავენ სტრატეგიული დანიშნულების ქალაქს, მანამდე არ ითვლება დანაკარგად.

***– რუსეთმა სიტუაციაზე გავლენა ვერ მოახდინა?***

– გავლენა როგორ ვერ მოახდინა, ჯაფხატ ალ მუსრას დაჯგუფებას სერიოზული ზიანი მიაყენა, მაგრამ ზოგადად, მაინცდამაინც დიდი ზიანის მიყენებაზე საუბარი ნაადრევია.

***– ანუ სირიის კონფლიქტზე რუსეთმა ხელშესახები გავლენა ვერ მოახდინა?***

– ხელშესახები იყო ქალაქ პალმირას აღება, მაგრამ ამათ პალმირა რომ აიღეს, ისლამურმა ხალიფატმა აიღო ნავთობით და გაზით მდიდარი რაიონები, რითაც, ფაქტობრივად, გააფართოვა თავისი ეკონომიკური პოტენციალი.

***– ხალიფატის გაქრობა ძნელია?***

– დიახ, სამწუხაროდ, ეს არის რეალობა. ის, პირიქით, აფართოებს თავის საქმიანობას, მაგალითად, ავღანეთსა და კავკასიაში, სადაც შეტაკება მოხდა. დაიღუპა 5 და დაიჭრა 15 ადამიანი. ე.ი. დაიწყო კონფლიქტის ინტენსიფიკაცია.

***– დადასტურებულია, რომ ხალიფატის წარმომადგენლები იყვნენ?***

– დიახ, ამ შეტევაზე მან აიღო პასუხისმგებლობა.

***– ე.ი. საშიშროება არსებობს და უშიშროების თანამშრომლებს ბევრი სამუშაო აქვთ.***

– რა თქმა უნდა. ამიტომ იმის თქმა, რომ ისლამური სახალიფო დამარცხდა, ძალიან ნაადრევია. ის ავღანეთში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში გააქტიურდა. ერაყში საკმაოდ სერიოზული შეტევები განახორციელა ბაღდადსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათი მხრიდან სერიოზულ დაპირისპირებას აქვს ადგილი.

***– სხვა ძალები წარმატებას რატომ ვერ აღწევენ?***

– სხვა ძალების მხრიდან წარმატების მიღწევა რამდენიმე ფაქტორთანაა დაკავშირებული. სახალიფო საკმაოდ სერიოზულ ტერიტორიას აკონტროლებს 8 მილიონიანი მოსახლეობით. მეორეც – საკმაოდ ძლიერი სამხედრო და სახელმწიფო ინფრასტრუქტურა შექმნა. მესამეც – ამერიკა ამ კონფლიქტში ველარ ერთვება. რამდენ კონფლიქტში ჩაერთოს, ამერიკას საკმარისი ძალები აღარ ჰყავს. ამერიკა ჩართულია ოთხ კონფლიქტურ სიტუაციაში: რუსებთან, ისლამურ სახალიფოსთან აღმოსავლეთში, ავღანეთსა და ჩრდილოეთ კორეასთან.

***– აქედან ყველაზე მთავარი რომელია?***

– ამერიკისთვის ყველაზე მთავარია რუსეთი და ჩრდილოეთ კორეა, რადგან აქ ბირთვული დაშინების ელემენტები მოქმედებს.

***– რუსეთმა სირიაში თავისი ძალები დიდი პომპეზურობით შეიყვანა.***

– რუსეთი იბრძოდა არა ისლამური სახელმწიფოს, არამედ ჯაფხატ ალ მუსრას წინააღმდეგ. ისლამურ სახელმწიფოსთან კი რუსეთს კარგი ურთიერთობა აქვს, საერთო ენა გამონახეს. ახლა ურთიერთობა ისევ დაიძაბა. მათ გარკვეული კავშირი გააჩნიათ – ხან თანამშრომლობენ, ხან – არა. ძალიან პირობითი მიმართულებაა – მათ ურთიერთობაში ხან მტრობის ელემენტია, ხან საკმაოდ კარგად არიან.

***– მათი შეხმატკბილების მიზეზი მაინც რა არის?***

– მაგალითად, ისლამური სახალიფო ნავთობს ყიდდა ასადის რეჟიმის მომხრეებზე, რუსული ბანკი ახორციელებდა ფინანსურ უზრუნველყოფას. ასეთ გარიგებებში დაფიქსირებულია ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი. ამიტომ ჩამოაცილეს ფიდეს პრეზიდენტობას. ამერიკამ კი მასზე სანქცია გასცა. ის იმ ადამიანებთან თანამშრომლობდა, ვინც მფარველობდა ტერორისტებს.

***– ე.ი. რუსეთს სირიაში აქვს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური ინტერესები.***

– სამხედრო ინტერესებზე რა გითხრათ, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები გააჩნია. ჯერ ერთი, ისლამური სახალიფოს რიგებში სადამ ხუსეინის დროინდელი ბევრი პარტიული წარმომადგენელია, რომლებსაც თავის დროზე მოსკოვთან ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. მეორეც – იქ პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრი მოქალაქეა, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეთ რუსეთის ხელმძღვანელობასთანაც.

***– რუსეთს ისედაც ხომ აღარ აწყობდა სირიაში ხანგრძლივად ომის წარმოება?***

– რუსეთმა თავისი მისია შეასრულა იმით, რომ დაარტყა ჯაფხატ ალ მუსრას დაჯგუფებას, რომელიც ალქაიდას ეგიდით მოქმედებს. მან ამ დაჯგუფებას მიაყენა უფრო მეტი დარტყმა, ვიდრე ისლამურ სახალიფოს. ისლამურ სახალიფოს ამერიკამ და რუსეთმა იმდენად დიდი ზიანი ვერ მიაყენა, ვიდრე საფრანგეთმა. ყველაზე დიდი ზიანი აისისს მიაყენა საფრანგეთმა. ამიტომაც იყო, რომ ის მას ორჯერ თავს დაესხა.

***– ანუ სტატუს ქვო, რომელიც დღეს არსებობს სირიაში, შეიძლება კარგა ხანს შენარჩუნდეს?***

– დიახ, დღევანდელი სტატუს ქვო შეიძლება შენარჩუნდეს სულ მცირე ერთი წელი მაინც.

## საქართველოში მიწისძვრა მოხდა



საქართველოში 3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრა ქალაქ ახალციხის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან 16 კმ-ში, ხოლო სოფელ აწყურიდან 3 კმ-ში დაფიქსირდა.

არსებული ინფორმაციით, მიწისძვრას რაიმე უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია.

**ინტერპრესნიუსი**

## გლდანის მე-8 დაწესებულებაში უვადო პატიმრობამისჯილთა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა

სასჯელაღსრულების სამინისტროში ადასტურებენ, რომ რამდენიმე ათეულმა უვადო პატიმრობამისჯილმა შიმშილობა გამოაცხადა, თუმცა უწყების ინფორმაციით, მათი რაოდენობა არა 45-ს, არამედ 42-ს შეადგენს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროში განუცხადეს, გლდანის მე-8 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები, რომლებსაც უვადო პატიმრობა აქვთ შეფარდებული, 2012 წლის დეკემბრის ბოლოს, პარლამენტის მიერ მიღებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონში არსებული ხარვეზის გასწორებას მოითხოვენ.




– გლდანის მე-8 დაწესებულებაში სულ 58 უვადო პატიმრობამისჯილი პირია მოთავსებული. მათგან 42-მა შიმშილობა დაიწყო. მოშიმშილეებს ჩვენს უწყებასთან არ აქვთ პრეტენზია, ისინი პარლამენტის მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონში არსებული ხარვეზის გასწორებას მოითხოვენ. ამ დროისთვის ყველა მათგანი კარგად არის, ვინაიდან შიმშილობა სულ რამდენიმე საათის წინ გამოაცხადეს.

ჩვენ ისინი მეთვალყურეობის ქვეშ აგვყავს და გავაკონტროლებთ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, – განაცხადეს სასჯელაღსრულების სამინისტროში.

„ინტერპრესნიუსს“ გლდანის მე-8 დაწესებულებიდან ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი პატიმარი, გიორგი გელაძე დაუკავშირდა, რომლის ინფორმაციითაც, „ამნისტიის შესახებ“ კანონში არსებული ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნით 45-მა უვადო პატიმრობამისჯილმა შიმშილობის აქცია გამოაცხადა.

მისივე ინფორმაციით, იგივე მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო რუსთავის № მე-6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულმა 10-მა პატიმარმაც, რომელსაც ასევე უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## ნოდარ ებანოიძე: „გადასახედია ყველაფერი, რაც სიტყვით „ონლაინ“ იწყება“



– გადასახედია ყველაფერი, რაც სიტყვით „ონლაინ“ იწყება, – ამის შესახებ „ინტრეპრესნიუსს“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ნოდარ ებანოიძემ ონლაინ-კაზინოებთან დაკავშირებული საკითხის კომენტირებისას განუცხადა.

**ნოდარ ებანოიძე:**

– რაც სიტყვა „ონლაინის“ ქვეშ არის, ყველგან გვჭირდება საკითხების გადახედვა – იქნება ეს ონლაინ-სესხების თუ ონლაინ-კაზინოების თემა. როგორც ვიცი, ამასთან დაკავშირებით მომზადებულია პროექტი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.

ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ და ვნახოთ რისკები, რაც აღნიშნულ საკითხს შეიძლება ახდეს თან. ჯერ ნამდვილად ვერ ვიტყვი თუ როგორი შეიძლება იყოს პარლამენტის გადაწყვეტილება, ონლაინ-კაზინოების საკითხს სჭირდება მსჯელობა და შემდგომ შესაბამისი პოზიციის ჩამოყალიბება.

**ინტერპრესნიუსი**

# ვენესუელაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა



ვენესუელის პრეზიდენტმა მადურომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. აკრძალულია მიტინგები, შეკრებები. არმიასა და პოლიციას უფლება აქვს, გაუფრთხილებლად გაუხსნას ცეცხლი ყველას, ვისაც საეჭვოდ მიიჩნევს.

მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს. ოპოზიციის ლიდერმა ენრიკე კაპრილესმა მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

– პრეზიდენტის განკარგულება საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება! გამოდით ქუჩაში, რათა თქვენი პროტესტი გამოხატოთ, – თქვა კაპრილესმა.

ოპოზიციის ლიდერმა მოუწოდა არმიას, პრეზიდენტ მადუროს დანაშაულებრივ ბრძანებას არ დაემორჩილოს:

– თქვენ ფიცი ვენესუელის ხალხს და არა მადუროს მიეცით! თქვენი მოვალეობაა, დანაშაულებრივი ბრძანებები არ შეასრულოთ! – ამბობს კაპრილესი.

# ჯონ ქერი: „სირიაში ჩვენი გავლენა ძლიერია“

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ კატეგორიულად უარყო ზოგიერთი ექსპერტის მტკიცება, თითქოს აშშ-ს გავლენა სირიაში შესუსტდა, განსაკუთრებით ეს მას შემდეგ შეინიშნება, რაც რუსეთმა სირიელი პარტიზანების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები დაბომბა.

– აშშ-ს გავლენა ყველგან ძლიერია. რაც შეეხება სირიას, ჩვენ იქ სიტუაციას ვფლობთ, – თქვა ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ რუსეთთან ჩატარდა უდიდესი დიპლომატიური სამუშაო, რათა სირიაში მშვიდობა აღდგეს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვაშინგტონს სხვა გეგმა არა აქვს.

– ბევრი გვეკითება, არსებობს თუ არა გეგმა „ბ“. ის უდავოდ არსებობს, თუმცა მისი ამოქმედებისაგან თავს ვიკავებთ, – თქვა ქერიმ.






# ახალი ინციდენტი ბალტიის ზღვაზე

ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა აღმოაჩინეს ესტონეთის საზღვართან რამდენიმე რუსული სამხედრო თვითმფრინავი. ისინი ესტონეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ.

დიდი ბრიტანეთის თვითმფრინავები იძულებულნი გახდნენ, ცაში აფრენილიყვნენ, რათა რუსების თვითმფრინავების შემოჭრა აღეკვეთათ.

უკანასკნელ ხანს ბალტიის ზღვაზე მსგავსი ინციდენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

# ტერაქტების სერია ბაღდადში

ბაღდადში მორიგი აფეთქება მოხდა. პირველი აფეთქება ტერორისტმა-შაჰიდმა ბაზაში განახორციელა. ის ქალი იყო. დანარჩენი ორი აფეთქებაც ბაზის ტერიტორიაზე მოხდა.

შედეგად 60-მდე ადამიანი დაიღუპა, ასზე მეტი დაშავდა.

ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. თავად ერაყელები კი თვლიან, რომ მთავრობა გაუმართლებელ დოყლაპიობას იჩენს.

– ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ან ხელისუფლებამ ტერორისტების წინააღმდეგ რეალური ღონისძიებები უნდა განახორციელოს, ან გადადგეს, – ამტკიცებენ ისინი.



# მექსიკის პრეზიდენტს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება სურს



მექსიკის პრეზიდენტმა ნიეტომ განაცხადა, რომ არ ეთანხმება უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დაუშვებლად მიიჩნევს.

– ამ საკითხს პარლამენტი განიხილავს, გადაწყვეტილებასაც ის მიიღებს, – თქვა პრეზიდენტმა.

ნიეტომ აღნიშნა, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მომხრეა და ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ ეს მოხდეს.

# ლიტველები რუსეთს მთავარ საფრთხედ მიიჩნევენ

ლიტვის თავდაცვის მინისტრმა იუოზას ალესისმა თავდაცვის ახალი დოქტრინა დაამტკიცა. მასში რუსეთი ლიტვის მთავარ საფრთხედაა გამოცხადებული.

– რუსეთის აგრესიული ქმედებანი იზრდება. ეს საფრთხეს უქმნის მთელს ევროპას, განსაკუთრებით კი ლიტვას, – აცხადებს ალექსისი.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სპორტი კარატისტთა ევროპული წარმატება

თბილისის ახალ სპორტის სასახლეში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში, რომელშიც მონაწილეობდა 25 ქვეყნის 350-მდე სპორტსმენი. თბილისურმა ევროპირველობამ ჩემპიონ-პრიზიორები ახალგაზრდებსა და უფროსებში გამოავლინა.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ოქროს და ბრინჯაოს მედლის დასაკუთრება მოახერხა – ჩემპიონი ოთარ ესიტაშვილი გახდა (80 კგ), ბრინჯაოს მედალი კი ვაჟა ხუციშვილმა (60 კგ) მოიპოვა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა კი ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. ევროპის ჩემპიონი ანდრეი ზინჩენკო (65 კგ) გახდა, ვინც მთელი შეჯიბრება დამაჯერებლად წარმართა, ფინალური ორთაბრძოლა კი ბულგარელ გიორგი ლოტაროვს ძალიან სწრაფად, სუფთა გამარჯვებით მოუგო. ამრიგად, ზინჩენკომ თავის კოლექციას ერთი მედალიც დაუმატა და ახლა ევროპის ორგზის ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორია. საქართველოს ნაკრების ლიდერმა მოგვიანებით ევროპირველობის ყველაზე ტექნიკური მებრძოლის პრიზიც მიიღო.

ჩვენ გუნდს ბრინჯაოს მედლები თამარ ბიბილეიშ-



ვილმა (60 კგ) და მიხეილ წიკლაურმა (70 კგ) მოუტანეს.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატი სალიცენზიო იყო და მომავალ წელს ყაზახეთში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს იძლეოდა. მსოფლიოს პირველობის ლიცენზიებს პრიზიორი სპორტსმენები იღებდნენ, შესაბამისად 2017 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების 3 კარატისტი გამოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ქუთაისმა ფინალი მოგებით გახსნა, ბათუმი ბრინჯაოს დასჯერდა

**ქუთაისი – დინამო 73:65**
(16:15; 19:24; 23:15; 15:11)

**ქუთაისი:** ბოისა (2ქ), ფაშაევი (6ქ, 6მ), ცეკვავა (6ქ), მათიაშვილი (12ქ), ბექაური (17ქ, 10მ, 6პ), ქადარია (4ქ, 6მ), ბრიტონი (12ქ, 6მ), გ.ბარბაქაძე (12ქ), მიკულიჩი (2ქ)

**დინამო:** შარაბიძე (17ქ, 9მ), მაჩალაძე, გოგოძე (11ქ, 6მ), მაკალპი (4ქ), კოვაჩევიჩი (18ქ), მაილსი (4ქ), ბაქრაძე, სანაძე, შვანგირაძე (2ქ), ბერიშვილი (5ქ), ტატუნაშვილი (4ქ)

ფინალური სერია ქუთაისში მასპინძლების გამარჯვებით გაიხსნა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა თბილისის დინამოს 73:65 სძლიეს და საჩემპიონო სერიის პირველი მატჩის მოგებით საერთო ანგარიშით 1:0 დაწინაურდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელებს რეგულარულ სეზონში 4-ჯერ ჰყავდა დინამო დამარცხებული, ამჯერად ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი იოლად დასაძლევი ბარიერი არ აღმოჩნდა. თბილისური გუნდი ქუთაისელებს ტოლს არ უდებდა. დებიუტში სტუმრები ლიდერობდნენ და დიდ შესვენებაზეც უპირატესობით გავიდნენ.

მართალია, პირველი მეოთხედი დინამომ 15:16 წააგო, მაგრამ მე-2 10-წუთეულში უფრო მოუმატა, 24:19 მოიგო და პირველი ნახევრის შემდეგ საერთო ანგარიშით 39:35 იგებდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ტაიმი ჩინებულად ჩაატარა თბილისელთა ლეგიონერმა მაკსიმ კოვაჩევიჩმა. სწორედ მისი შედეგიანი თამაშის შედეგად იგებდნენ სტუმრები.

დიდი შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა ვითარება გამოასწორეს, კოვაჩევიჩი გაანეიტრალეს, ხოლო ბექა ბექაურის, ჯონ ბრიტონის, გიორგი ბარბაქაძისა და რიჩარდ მათიაშვილის ქულებით მესამე მეოთხედი 23:15 მოიგეს. ბოლო პერიოდის წინ მოპოვებული 4-ქულიანი ლიდერობა ბევრს არაფერს ნიშნავდა, თუმცა ქუთაისელებმა შედეგიანად ჩაატარეს ბოლო პერიოდიც და საბოლოოდ 8 ქულით გაიმარჯვეს.

17 ქულით, 10 მოხსნითა და 6 შედეგიანი გადაცემით ქუთაისელებს ბექა ბექაურმა ულიდერა. 12-12 ქულა მიითვალეს მათიაშვილმა, ბრიტონმა და გიორგი ბარბაქაძემ. დინამოში 18 ქულით კოვაჩევიჩი გამოირჩა, 17 ქულა კი გიორგი შარაბიძემ მოაგროვა.

**ბათუმი – სოხუმი 86:81**
(22:27; 21:24; 21:11; 22:19)

სუპერლიგის მე-3 ადგილისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი საკალათბურთო კლუბი ბათუმი გახდა. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა სოხუმს 86:81 მოუგო.

ნახევარფინალში დამარცხებული გუნდების მატჩი ბათუმში გაიმართა. ბათუმელებმა სოხუმელებზე უკეთესი შედეგი აჩვენეს რეგულარულ ჩემპიონატში და მოედნის უპირატესობაც ამის გამო ჰქონდათ.

სოხუმელებმა შესანიშნავად ჩაატარეს საწყისი 2 პერიოდი, რომელთა დასრულების შემდეგ 51:43 იგებდნენ. გადამწყვეტი გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელიც მასპინძლებმა 21:11 მოიგეს და გადამწყვეტ ათწუთეულს 2-ქულიანი ლიდერობით შეხვდნენ. დარჩენილ დროში სოხუმელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მატჩის დასრულებამდე 50 წამით ადრე 81:80 დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მასპინძლებმა დასკვნითი წამები მეტი მობილიზებით ჩაატარეს და საბოლოოდ 5 ქულის სხვაობით – 86:81 იმარჯვეს.



ბათუმელებს 21 ქულითა და 13 მოხსნით აკაკი დვალიშვილმა ულიდერა. 20-20 ქულა დააგროვეს იგორ კრივცოვმა და ბესო ლეჟავამ. სოხუმში 28 ქულით საუკეთესო გივი ბაქრაძე გახლდათ, 25 ქულა ფილიპ მილერის ანგარიშზე დაგროვდა.

მატჩის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. მესამე ადგილზე გასული ბათუმელები ბრინჯაოს მედლებით, დიპლომითა და სიგელებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა და სუპერლიგის საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზვიად კოტრიკაძემ დააჯილდოვეს.

# ნეიმარს სამკლაურს ართმევენ



ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დუნგა არ გამორიცხავს, რომ მან ბარსელონას ფეხბურთელს, ნეიმარს, ეროვნული გუნდის კაპიტნობა ჩამოართვას.

**კარლოს დუნგა:**

– ვაპირებ, რაღაც შევცვალო და ნეიმარს უნდა დაველაპარაკო. თამაშის მისი სტილი და დრიბლინგები დაპირისპირებას იწვევს. ასე ხდება ბარსელონაშიც. თავიდან ვფიქრობდი, რომ კაპიტნად დანიშვნა ნეიმარს თავს უფრო დაცულად აგრძნობინებდა და გუნდში მის მნიშვნელობას ხაზს გაუსვამდა. ყველაზე ადვილი გადასაწყვეტია, უნდა იყოს თუ არა ნეიმარი კაპიტანი. მასთან, ამ თემაზე, დავილაპარაკებ. ის, ბარსელონაში კაპიტანი არაა, მაგრამ ამ გუნდშიც იგივე ხდება. ასე რომ, საქმე სამკლაურში არაა.

# მაიკ ჯეიმსი – ახალი ქართველი კალათბურთელი

საქართველოს ნაკრებს ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ცხელი ზაფხული ელის. ჩვენები, ახალი მწვრთნელის, ილიას ზუროსის მეთაურობით ჩერნოგორიასთან, სლოვაკეთთან და ალბანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას.

ახალი მწვრთნელი ახალი იდეებით მოვიდა. ცხადია, შემადგენლობაშიც იქნება ცვლილებები. შემადგენლობას კი, ზუროსი სავარაუდოდ, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაასახელებს. წინ მხოლოდ ფინალია დარჩენილი და ბერძენი სპეციალისტიც ყველა მატჩს დაესწრება.

როდესაც ილიას ზუროსი ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას გამოაცხადებს, იქ აუცილებლად შეგვხვდება ამერიკული გვარი, ოღონდ ეს არ იქნება ჯეიკობ პულენი, უკანახაზელი, რომელიც საქართველოს ნაკრებს 2015 წლის ევრობასკეტზე ეხმარებოდა.

ახალი კალათბურთელი სავარაუდოდ მაიკ ჯეიმსი იქნება, რომელიც ლაბორალ კუჩაში თორნიკე შენგელიას თანაგუნდელია. ეს ინფორმაცია საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ ბოისამ გააჟღერა.

25 წლის ჯეიმსს ამერიკული პასპორტი აქვს. თავად კალათბურთელს და მის კლუბს სურვილი აქვთ ჯეიმსმა ევროპული პასპორტი მიიღოს. სურვილი აქვთ ქართული კალათბურთის მესვეურებსაც.




ნაკრებს დაუბრუნდება ნიკოლოზ ცქიტიშვილი. სავარაუდოდ, გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე ახალი სახე იქნება.

# მარკოიშვილი პლეი ოფში ბრძოლას აგრძელებს, ბურჯანაძე პირველ ლიგაში დარჩა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები




დიდ ბრძოლაში დაიწყო თურქეთის პლეი ოფი მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკასთვის, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალურ მეტოქედ მეხუთეადგილოსანი ბანვითი შეხვდა. სერიის პირველი მატჩი უკვე გაიმართა და დარუშაფაკელთა 1-ქულიანი გამარჯვებით – 77:76 დასრულდა.

მარკოიშვილის გუნდი პირველ ტაიმში გვარიანად ჩამორჩებოდა, თუმცა მესამე პერიოდში მოახერხა თამაშის გათანაბრება და თანაბარ, დაძაბულ ბრძოლაში საბოლოოდ მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა.

მარკოიშვილმა მოედანზე 22 წუთი გაატარა და 3 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა უკანახაზელმა 2 ცდიდან 1 სამიანი მიითვალა, 1 ორქულიანი კი ააცილა. 23 ქულით გამარჯვებულებს ამერიკელმა ლიუკ ჰარანგოდიმ ულიდერა.

სერიის მე-2 მატჩი ბანვითის მოედანზე დღეს გაიმართება.

ბექა ბურჯანაძისთვის კი სეზონი დასრულდა. ესპანეთის რანგით მეორე ლიგაში უმაღლესის საგზურისთვის მებრძოლ მის კორუნა ბასკეტს მიზნამდე 1 ნაბიჯი დააკლდა. ლაკორუნიელებმა ნახევარფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტი მატჩი სტუმრად, მელილასთან 82:88 წააგეს და პლეი ოფიდან გამოვარდნენ.

არადა, ბურჯანაძის გუნდი აღნიშნულ სერიას 2:1 იგებდა და ფინალამდე 1 მოგება აკლდა, მაგრამ ლაკორუნიელებმა შინაურ არენაზე ვერ მოიგეს და წუხელ გასვლითი შეხვედრაც დაძაბულ ბრძოლაში წააგეს.

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში გახლდათ და მოედანზე გატარებულ 30 წუთში 14 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 8-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

# რეალში წმენდა იგეგმება




მომავალ ზაფხულს დიდი საკადრო წმენდაა მოსალოდნელი მადრიდის რეალში. რამდენიმე ფეხბურთელი უკვე კლუბის დატოვების ზღვარზეა. ცხადია, მადრიდელები შევსებასაც მიიღებენ.

**დავიწყოთ წამსვლელებით:**

**ხამეს როდრიგესი:** კოლუმბიელი ფეხბურთელის მადრიდული მომავალი ბურუსითაა მოცული. ზინედინ ზიდანი რეალის „ათიანს" იშვიათად ენდობა, მანჩესტერ იუნაიტედი კი 75 მილიონ ევრო ჩამოდის, რაც ნამდვილად დიდი თანხაა. ასევე დაინტერესებულია როდრიგესის გადაბირებით პსჟ.

**ნაჩო ფერნანდესი:** მიუხედავად ზიდანის უდიდესი პატივისცემისა, ნაჩოს ადგილს ბლანკოსში ვეღარ ხედავენ, მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ წასვლის უდიდესი შანსი აქვს.

**კეილორ ნავასი:** მიუხედავად იმისა, რომ კოსტარიკელმა საოცარი სეზონი ჩაატარა, სხვა მეკარის მოსვლის შემთხვევაში, ის აუცილებლად დატოვებს გუნდს, ვინაიდან სათადარიგოთა სკამზე დაჯდომას არ აპირებს.

**კოვაჩიჩი:** ხორვატ ფეხბურთელს დიდი მომავალი აქვს, მაგრამ რეალი აქტიური სატრანფერო პოლიტიკის წარმოებას გეგმავს, აქედან გამომდინარე გუნდში მის ადგილს ვეღარ ხედავენ.

ჯერჯერობით უცნობია, დატოვებს თუ არა ოთხივე ფეხბურთელს ბლანკოსს, თუმცა ყველაფერს სულ მალე გავიგებთ.

რეალისთვის საინტერესო ინფორმაციებს ავრცელებს იტალიური გამოცემა „კორიერე დელო სპორტი". რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ბაიერნთან მოლაპარაკებებს წარმატებით ასრულებს და ლევანდოვსკი ბლანკოსის ფეხბურთელი გახდება, ალვარო მორატა კი, რომელიც ტურინის იუვენტუსში ჰყავდა განათხოვრებული, მომავალში ლონდონის არსენალის ღირსებას დაიცავს.

არაოფიციალური ინფორმაციით, მორატას სანაცვლოდ, პერესი 55 მილიონ ევროს მიიღებს.

ასევე იტალიური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იუვენტუსმა პაულო დიბალას თაობაზე რეალის შემოთავაზება უარყო. არგენტინელმა ფეხბურთელმა აწ უკვე გასული სეზონი შესანიშნავად ჩაატარა და გრანდების ყურადღებაც მიიპყრო, ესპანელები მზად იყვნენ 70-80 მილიონი ევრო გადაეხადათ ტურინელთათვის, თუმცა ტურინელთა პრეზიდენტმა ჯუზეპე მაროტამ კატეგორიული უარი განუცხადა.

ზემოთ ნავასის წასვლა ვახსენეთ და რეალს თვალი რამდენიმე მეკარეზე ჰქონდა დადგმული. ინგლისური მედიის ცნობით, მანჩესტერის ესპანელი მეკარის, დავიდ დე ხეას ამბავი გადაწყვეტილია.

შარშან ესპანელმა მანჩესტერთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „ბლანკოსს" დავიდის შეძენა 50 მილიონი ევროს სანაცვლოდ ნებისმიერ დროს შეეძლებოდა. სწორედ ამ პუნქტით სარგებლობს მადრიდული კლუბიო – წერენ ინგლისელები.

## შედეგები

17 მაისი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ბორნმუთი ................. 3:1

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 38 | 23 | 12 | 3 | 68:36 | 81 |
| 2.არსენალი | 38 | 20 | 11 | 7 | 65:36 | 71 |
| 3.ტოტენჰემი | 38 | 19 | 13 | 6 | 69:35 | 70 |
| 4.სიტი | 38 | 19 | 9 | 10 | 71:41 | 66 |
| 5.მანჩესტერი | 38 | 19 | 9 | 10 | 49:35 | 66 |
| 6.საუთჰემტონი | 38 | 18 | 9 | 11 | 59:41 | 63 |
| 7.ვესტ ჰემი | 38 | 16 | 14 | 8 | 65:51 | 62 |
| 8.ლივერპული | 38 | 16 | 12 | 10 | 63:50 | 60 |
| 9.სტოკი | 38 | 14 | 9 | 15 | 41:55 | 51 |
| 10.ჩელსი | 38 | 12 | 14 | 12 | 59:53 | 50 |
| 11.ევერტონი | 38 | 11 | 14 | 13 | 59:55 | 47 |
| 12.სუონსი | 38 | 12 | 11 | 15 | 42:52 | 47 |
| 13.უოტფორდი | 38 | 12 | 9 | 17 | 40:50 | 45 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 38 | 10 | 13 | 15 | 34:48 | 43 |
| 15.კრ.პალასი | 38 | 11 | 9 | 18 | 39:51 | 42 |
| 16.ბორნმუთი | 38 | 11 | 9 | 18 | 45:67 | 42 |
| 17.სანდერლენდი | 38 | 9 | 12 | 17 | 48:62 | 39 |
| 18.ნიუკასლი | 38 | 9 | 10 | 19 | 44:65 | 37 |
| 19.ნორვიჩი | 38 | 9 | 7 | 22 | 39:67 | 34 |
| 20.ასტონ ვილა | 38 | 3 | 8 | 27 | 27:76 | 17 |

**საბერძნეთი. თასი**

ოლიმპიაკოსი-აეკი ......................... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ოლბორგი ......................... 2:0

*მოამზადა მიხეილ ფორჯოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

2016, 19 მაისი, №117

# ამერიკელები ამინდის პროგნოზის წამყვანის კაბამ გააღიზიანა




ამერიკის ერთ-ერთი ტელეარხის ამინდის პროგნოზის წამყვანს პირდაპირ ეთერში მოსთხოვეს კაბაზე, რომელიც მაყურებლებმა მეტისმეტად ეროტიულად მიიჩნიეს, მოსასხამი მოეხურებინა.

ვიდეო რგოლში ჩანს, თუ როგორ შეაწყვეტინეს გადაღების დროს გადაცემა წამყვან ლიბერტე ჩანს. გოგონას ნაცრისფერი მოსასხამი მიაწოდეს, რომელმაც ის ტანზე შემოტმასნილ მეტად მოღიავებულ შავ კაბაზე მოიცვა. წამყვანის კითხვაზე, კადრს მიღმა მყოფმა ხმამ უპასუხა, რომ არხის ელექტრონულ ფოსტაზე უამრავი შეტყობინება მივიდა, რომლითაც მაყურებლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ წამყვანის ჩაცმულობასთან დაკავშირებით.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამინდის პროგნოზის მაყურებლები უკმაყოფილონი დარჩნენ წამყვანის კაბით, რომლებმაც ის დილის გადაცემისთვის სრულიად შეუფერებლად მიიჩნიეს.

# ნიუ-იორკელმა მოპსმა ინსტაგრამი დაიპყრო



მოპსი ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკიდან, სახელად მეიბლი, სოციალური ქსელ ინსტაგრამის ვარსკვლავი თავისი პატრონის წყალობით გახდა, რომელიც სხვადასხვა კოსტუმებში გამოწყობილი მეიბლის ფოტოსურათებს აქვეყნებს. სოციალურ ქსელში ძაღლის აკაუნტს 1,4 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

– მეიბლი კოსტუმებს ყოველდღე იცვლის, – განაცხადა ცხოველის პატრონმა ლორენ როტბერგმა.

მისი თქმით, ძაღლი უკვე შეეჩვია ტანსაცმელს. ამასთან ყველა სურათზე მეიბლს ენა აქვს გამოყოფილი.

# ჰარი პოტერის თაყვანისმცემელი შეეცადა უნიტაზში ჩარეცხილიყო



სოციალურ ქსელ ფეისბუქში გავრცელდა ვიდეო ჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ შეეცადა პატარა ბიჭუნა საკუთარი თავი უნიტაზში ჩაერეცხა, რათა მაგიის სამინისტროში – ჯადოქრების ადმინისტრაციულ დაწესებულებაში ამოეყო თავი, წიგნიდან ჰარი პოტერზე. ამ ვიდეო რგოლმა რამდენიმე დღეში 1,1 მილიონი ნახვა მოაგროვა.

ვიდეოზე ჩანს, რომ სააბაზანო ოთახის კარს აღებს ქალი, სავარაუდოდ ბავშვის დედა, ხოლო სათვალებიანი ბიჭუნა უნიტაზში დგას, ხელში ჯადოსნური ჯოხი უჭირავს და უნიტაზში წყალს უშვებს.

ჰარი პოტერზე წიგნების სიუჟეტით, სამინისტროს თანამშრომლები სამსახურში ჯადოსნური შესასვლელიდან ხვდებოდნენ, რომელიც საზოგადოებრივ ტუალეტად იყო შენიღბული. გამოგონილი დაწესებულების შენობაში მოსახვედრად, საჭირო იყო უნიტაზში ჩადგომა და საკუთარი თავის ჩარეცხვა.

# პანდას ბელებმა ვოლიერის დალაგება ჩაშალეს

დიდი პანდას ორმა ბელმა, ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ზოოპარკიდან დამლაგებელს მათი ვოლიერის დალაგე-




ბაში ხელი შეუშალეს. ვიდეო ჩანაწერზე, რომელიც ფეისბუქში ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ჩანს, თუ როგორ ართმევენ დამლაგებელ ქალს ფოთლებით სავსე სათლს.

დამლაგებლის მცდელობამ, ბელებისთვის თავისი ნივთი წაერთმია, შედეგი ვერ გამოიღო. ისინი მას ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ და გამუდმებით სათლში ჩაძრომას ცდილობდნენ.

# ორლანდო ბლუმი დროს აბრამოვიჩის იახტაზე ატარებს



ჰოლივუდის მსახიობი ორლანდო ბლუმი და მისი ახალი მეგობარი გოგონა, მომღერალი კეტი პერი, რეპორტიორებმა იახტაზე შენიშნეს, რომელიც რუს ბიზნესმენ რომან აბრამოვიჩს ეკუთვნის და რომელიც საფრანგეთის ქალაქ კანთან დგას ღუზა ჩაშვებული. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსი ოლიგარქი საკუთარ ხომალდს იჯარით აქირავებს და მასზე ერთი დღე-ღამის გატარება 250 ათასი დოლარი ღირს.

პაპარაცებმა წყვილს, რომლებიც ერთმანეთს თითქმის ოთხი თვეა რაც ხვდებიან, იმ მომენტში გადაუღეს ფოტოსურათები, როდესაც ისინი ერთმანეთს იახტის გემბანზე კოცნიდნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აბრამოვიჩის იახტა ეკლიპზე დროდადრო ხედავენ ცნობილ პიროვნებებს. მაგალითად, არც ისე დიდი ხნის წინ მასზე რეალითი შოუს „კარდაშიანების ოჯახი“ ვარსკვლავი და მოდელი კენდალ ჯენერი ისვენებდა. 2015 წელს ხომალდის გემბანზე ბრიტანეთის პრინცესა ბეატრისი შენიშნეს თავის მეგობართან ერთად.

# სამი ნასერი კანში დააკავეს



კანში კრუაზეტის სანაპიროზე ცნობილი ფილმების სერიალის „ტაქსის“ ვარსკვლავი, ფრანგი მსახიობი სამი ნასერი დააკავეს, რომელმაც პოლიციელებს მანქანის უკრაინული მართვის მოწმობა წარუდგინა.

54 წლის მსახიობი საბუთების შემოწმების მიზნით გააჩერეს, როდესაც ის ავტომობილით გადაადგილდებოდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მანამდე ნასერს ფრანგული მართვის მოწმობა ჩამოერთვა მრავალი დარღვევის გამო. საქმის გასარკვევად, მას პოლიციის განყოფილებაში გაყოლა შესთავაზეს, სადაც მან სულ 20 წუთი გაატარა.

თავად მსახიობი, საკუთარ დანაშაულს უარყოფს.

– მანქანის მართვის მოწმობა რომ არ მქონოდა, პოლიციელები ასე სწრაფად არ გამათავისუფლებდნენ. უკრაინული მართვის მოწმობა ფილმის გადაღებების დროს ავიღე, – განაცხადა ნასერმა და იქვე დაამატა, რომ მას 2016 წლის სექტემბრამდე შეუძლია საზღვარგარეთული მართვის მოწმობა ფრანგულზე გადაცვალოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი
## 19 მაისისთვის



**ვერძი** – ჯანმრთელობისთვის არაკეთილისმყოფელი დღეა. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. ახლობელ ადამიანთან ურთიერთობა გეძაბებათ. **კურო** – არ ღირს შორს გამგზავრება, მივლინებები, კონტაქტი უცნობ ადამიანებთან. კარიერაში სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება. **ტყუპები** – ნაყოფიერი დღეა. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. **კირჩხიბი** – თუ რომელიმე მეგობართან კონფლიქტი გაქვთ, აუცილებლად შეურიგდით და ურთიერთობა დაათბეთ. პროფესიულ საქმიანობაში გარკვეულ შეცდომას დაუშვებთ, თუმცა მისი გამოსწორება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – პლანეტები გირჩევენ, კრიტიკულად შეაფასოთ თქვენი ურთიერთობა პარტნიორებთან. შესაძლოა მიმნდობლობამ და მიამიტობამ ამ შემთხვევაში ცუდი სამსახური გაგიწიოთ და მომავალში პრობლემები შეგიქმნათ. **ქალწული** – იფიქრეთ პირად ცხოვრებაზე. ქალებს შესაძლოა ამ მხრივ პრობლემები შეგექმნათ. მამაკაცები ძლიერი და ემოციური ბუნების მეოხებით ყველა დაბრკოლებას იოლად გადალახავთ. **სასწორი** – ერიდეთ სასიყვარულო თავგადასავლებს. ყურადღებით იყავით, არავინ მოგატყუოთ. ფიზიკური დატვირთვა სასურველი არ არის. **ღრიანკალი** – მეტი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. ალკოჰოლს ერიდეთ. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. თამამად იყავით, ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ მოქმედებს, თუმცა, ზომიერების დაცვაც არ გაწყენთ. **თხის რქა** – დაისვენეთ მშვიდ გარემოში. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **მერწყული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მამაკაცებმა ზედმეტი ინიციატივის გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. ქალებს ვარსკვლავები სტუმრად წასვლას ურჩევენ. **თევზები** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. ახალი ნაცნობისგან სიურპრიზს ელოდეთ. ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი; 2. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული არწივის ჯიში; 3. უარყოფითად დამუხტული იონი; 4. დროის დიდი მონაკვეთი; 5. ტბა ჯავახეთში; 7. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. საერთაშორისო საგადასახადო საბანკო ჩეკი; 15. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 16. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ამერიკელი მხატვარი, ტელეგრაფის გამომგონებელი; 20. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 23. ბერძნული ყველი.

**თარაზულად:** 6. ქოთანში მზარდი მინიატურული, დეკორატიული ჯიშის, ჩინური ხე; 2. დაბალი რანგის დიპლომატი; 9. შვეიცარელი მხატვარი; 10. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 12. მესაქონლეობის მსხვილი ფერმა ლათინურ ამერიკაში; 13. მდინარის მიერ მოტანილი სილა, თიხა, ღორღი; 14. ბუფეტი სასადილო ჭურჭლისთვის; 19. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 21. მმართველთა უმაღლესი ტიტული არაბულ ქვეყნებში ძველად; 23. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 24. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 25. უმოტორო საფრენი აპარატი; 26. ნაფიც-მსაჯულთა გამოტანილი განაჩენი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ლოტბარი; 2. კაბუკი; 3. ლოკოკინა; 4. მაჭახელა; 7. ტაქსაფონი; 8. ჯავახეთი; 12. ჰონორარი; 14. დანსინგი; 16. სილეზია; 17. სორბონა; 19. კურუ; 20. „ვიში“.

**თარაზულად**: 5. კონდიცია; 6. აპოსტასია; 9. ხარება; 10. ფრანკი; 11. „ზვარე“; 13. ლოლუა; 15. ფადიკო; 18. სინჯი; 21. ინანთეული; 22. ზოდიაქო; 23. ტურბინა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „ყაზბეგი“; 2. პრუდონი; 3. სკეტჩი; 4. პემზა; 5. ავლაბარი; 7. სკა; 11. თეატრი; 15. „დიადორა“; 16. ხამონი; 17. სევრი; 18. ხირსა; 20. შაშვი; 22. ლუდი.

**თარაზულად**: 6. ალმასი; 8. კრიტიკა; 9. კამვოლი; 10. ბაღდათი; 12. კეჩუა; 13. ალიბი; 14. კარაბინი; 19. „ოჯალეში“; 21. ფეტელი; 23. „იტამი“; 24. არენდა; 25. ტრამვაი; 26. ფართინგი.

# ანიტა რაჭველიშვილი საქართველოს უბრუნდება



უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერალი, საუკეთესო კარმენად აღიარებული ანიტა რაჭველიშვილი საქართველოს უბრუნდება.

მეცო სოპრანო 20 მაისს ქუთაისში, მესხიშვილის თეატრში გამართავს კონცერტს. მისი საღამო თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2016“ ფარგლებში ჩატარდება.

საღამოზე შესრულდება არიები მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების ოპერებიდან და ყველასათვის საყვარელი კლასიკური ნაწარმოებები ნიკოლოზ რაჭველის საორკესტრო ვერსიებით.

კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-30 ლარია.

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

# გოჩა ჭაბუკაიძე მეეზოვე გახდა

„ნიჭიერის“ მონაწილე, მედავითნე და მომღერალი გოჩა ჭაბუკაიძე მეეზოვე გახდა. ახალგაზრდა მწერლისა და პოეტის ანა ლაშხელი ონიანის მოთხრობის „მეეზოვე“ მიხედვით მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებები დაიწყო, სადაც მთავარ როლს გოჩა ჭაბუკაიძე ასრულებს.

მომღერალს უკვე მოარგეს ნარინჯისფერი ფორმა და გადაღებების პირველმა დღემაც წარმატებით ჩაიარა. ფილმზე დავით კურაშიძე მუშაობს.

ანა ლაშხელი ონიანი:

– დაიწყო მეეზოვეზე მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება. ძალიან მიხარია თქვენი დამტკიცება მთავარ როლზე გოჩა ჭაბუკაიძე. სწორედ თქვენნაირი სათნო ადამიანი წარმომედგინა ამ ადგილზე. დიდი მადლობა, რომ დათანხმდით. ფილმი ეძღვნება ყველა მეეზოვეს, ვინც ჩვენივე დაყრილი ნაგვიდან გვასუფთავებს.

**გოჩა ჭაბუკაიძე:**

– უჩვეულო დღე გათენდა ჩემთვის. რამდენი წელია ასე ადრე არ გამღვიძებია. თურმე როგორი ძილით სძინავს კაცს, როცა მეორე მის მიერ დაყრილი ნაგვისგან ასუფთავებს ქალაქს... თან მასზე სუფთა ჰაერსაც შეისუნთქავს და უფრო საღად აზროვნებს... შემაძლებინე უფალო ამ არც ისე ადვილი როლის საკუთარ თავზე მორგება და გათავისება!!!



პ.ს. ანა ლაშხელი ონიანის მოთხრობა „მეეზოვე“ ერთ რიგით მეეზოვე მამაკაცზეა, რომელიც ყოველ დილით უთენია ასუფთავებს ქალაქს ნაგვისგან და ერთ დღესაც ნაგავში ჩვილს იპოვის და იშვილებს.

# ანსამბლი „შავლეგო“ უკრაინაში მიიწვიეს

ჩოხოსან რაინდთა დასის ანსამბლი „შავლეგო“ უკრაინაში მიიწვიეს. კიევში საერთაშორისო ტრადიციული კულტურული ფესტივალი იმართება, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ „შავლეგოა“ მიწვეული. ქართული ანსამბლი ფესტივალზე უკვე მეორედ დაპატიჟეს. „შავლეგოს“ მუსიკალური ხელმძღვანელი ჯემალ ადამაშვილია.

19-22 მაისს კიევში სხვადასხვა ქვეყნების ანსამბლები შეიკრიბებიან და 4 დღის განმავლობაში მსმენელისთვის კონცერტებს გამართავენ. ფესტივალის ორგანიზატორია შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტი ივან გონჩარის სახელობის მუზეუმთან ერთად.

ფესტივალის ფარგლებში „შავლეგო“ კონცერტებთან ერთად გამართავს ცეკვისა და სიმღერის მასტერკლასებს. ანსამბლს მარტვილიდან 2 წყვილი მოცეკვავეც შეუერთდება.

ეს არის გაცვლითი პროგრამა, რომელიც უკრაინასა და საქართველოს შორის 3 წლის წინ დაიგეგმა. კიევში ვიზიტის შემდეგ, 11-16 ივლისს მარტვილში გაიმართება ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი და მასში მონაწილეობას მიიღებს 5 ქვეყნის ალბანეთის, რუმინეთის, ბელორუსის, უკრაინისა და აფრიკის სიერა ლეონეს 120 კაციანი დელეგაცია.

# როგორ მოვიქცეთ დამწვრობის დროს



დამწვრობის მკურნალობა არსებითად შეიცვალა ამ ბოლო წლებში და ახლაც იცვლება. კარგი იქნება წინასწარ ჰკითხოთ თქვენს მკურნალ ექიმს, რა უნდა გააკეთოთ ამ დროს. ექიმის მოსვლამდე ბავშვს პირველი დახმარება აღმოუჩინეთ. თუ ძლიერი დამწვრობაა და თანაც საავადმყოფოში ბავშვის მიყვანას უფრო ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე ექიმის მოსვლას, საავადმყოფოში წასვლას გირჩევთ. პატარა დამწვრობის დროს კარგ შედეგს იძლევა სუფთა ვაზელინის წასმა, რის შემდეგ დამწვარ ადგილს დოლბანდის სახვევი დაადეთ. თუ ვაზელინი არ გაქვთ, შეიძლება მცენარეული ზეთი ან კარაქი იხმაროთ.

მეორე, ნაკლებ ეფექტური მეთოდია, დამწვარი ადგილის დასველება საჭმელი სოდის ხსნარით. (ნაკლული ჩაის კოვზი სოდა ჭიქა წყალზე). დოლბანდის საფენი ამ ხსნარში დაასველეთ და დამწვარ ადგილს დაადეთ. დროდადრო, სანამ მალამოს არ იშოვნით, დოლბანდის საფენი სოდიანი ხნარით დაასველეთ ხოლმე. ძლიერი დამწვრობის დროს ბებერები ჩნდება ან კანი იყვლიფება. ზოგიერთი ბებერა სკდება და ინფექცია კანში ადვილად იჭრება. თუ ბავშვს ერთი ან ორი პატარა გაუმსკდარი ბებერა აქვს, ნუ შეეცდებით მათ გახეთქვას ან ნემსით გაჩხვლეტას. თუ თავს დაანებებთ ბებერებს, ინფექცია ნაკლებადაა მოსალოდნელი. პატარა ბებერები ზოგჯერ არც კი გასკდება, ისე მორჩება ხოლმე, ან თუ რამდენიმე დღის მერე მაინც გასკდება, მათ ქვეშ უკვე ახალი კანი იქნება.

როდესაც ბებერა სკდება, კარგია ზედმეტი კანის მოჭრა. პატარა მაკრატელი და პინცეტი 10 წუთის განმავლობაში უნდა გამოხარშოთ, კანს რომ მოჭრით, ეს ადგილი ვაზელინით დასველებული სტერილური დოლბანდით დაფარეთ. თუ ბებერა დაჩირქდება და გაწითლდება, დაჩირქებული ბებერა გახეთქეთ და სველი სახვევი დაადეთ.

ნებისმიერი ხარისხის დამწვრობის ადგილას იოდი ან სხვა რომელიმე ანტისეპტიკური საშუალება არასოდეს არ წაუსვათ, ისინი კიდევ უფრო გააუარესებს მდგომარეობას.

* * *

ყველაზე უებარი საშუალება მზით დამწვრობის წინააღმდეგ, მისი თავიდან აცილებაა. მზით მძიმე დამწვრობა, მართლია, მტკივნეულია, საშიშია, მაგრამ, ამასთან, ადვილი ასარიდებელიცაა.

დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია დაუშვა შეცდომა, ბავშვთან ერთად გახვიდე პლიაჟზე და შესაბამისი, დამწვრობის საწინააღმდეგო კრემები წინასწარ არ მოიმარაგო. მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, სასარგებლოა ზოგიერთი რამის ცოდნა მზის სხივებით დამწვრობის შესახებ.

მზეს შეუჩვეველი ადამიანისთვის პლაჟზე გატარებული ნახევარი საათიც კი საკმარისია, კანზე რომ მზით დამწვრობა გამოაჩინდეს.

პირველ დღეებში საჭიროა შევზღუდოთ მზეზე ყოფნის ხანგრძლივობა. შეხედვით ან ხელის შეხებით შეუძლებელია იმის გარკვევა, გადახურდა თუ არა ბავშვი, ვინაიდან მზით დამწვრობა თავს იჩენს მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ.

კარგი იქნება, თუ პირველ დღეებში პლაჟზე, ბავშვს ხელები, ფეხები, სახე და ტანი დაფარული ან დაცული ექნება მზისგან, იმ დროის გამოკლებით, როცა ის ზღვაში ბანაობს. ბავშვს შუბლისა



და ცხვირის დასაცავად ფარფლებიანი ქუდი დაახურეთ. მხრების დასაცავად პერანგი ჩააცვით. ფეხებზე კი, რეიტუზები ან კომბინეზონი. განსაკუთრებით უფრთხილდით ფეხების უკანა მხარეს, თუ ბავშვი მუცელზე წევს.

მზით დამწვრობას შველის ჩვეულებრივი მკვებავი საცხი ან ვაზელინი. საშუალო ხარისხის დამწვრობის დროსაც კი ადამიანი გრძნობს შეცივებას, ტემპერატურის მომატებას და საერთო სისუსტეს. ამ შემთხვევაში კარგი იქნება, რჩევა ჰკითხოთ ექიმს, ვინაიდან მზით დამწვრობა შეიძლება ისეთივე საშიში აღმოჩნდეს, როგორც სითბური დამწვრობა. მზით დამწვარი კანი, სანამ სიწითლე არ ჩაცხრება, მზისგან დაფარული უნდა გქონდეთ.

მედიცინა

# მკურნალი მცენარე



**ღვია** – კვიპაროსისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, მარადმწვანე, ძირითადად 8-12 მეტრი სიმაღლის, ხშირად კი 1-3 მეტრი სიმაღლის ბუჩქადაც არის წარმოდგენილი. გვხვდება მშრალ განათებულ ადგილებში, იზრდება, როგორც დაბლა, ისე მაღალმთიან ადგილებშიც. გავრცელებულია თითქმის მთელს კავკასიაში.

გრძელწიწვიანი ღვიის გირჩი მედიცინაში გამოიყენება ნაყენის სახით, როგორც ანთების საწინააღმდეგო და შარდმომგვრელი კარგი საშუალება. იგი საშარდე გზების დეზინფექცირებას ახდენს. აქვს ამოსახველებელი მნიშვნელობა და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. გამოიყენება შარდმდენად თირკმლების (არამწვავე) და საშარდე ბუშტის ანთების დროს. რეკომენდირებულია სახსრების ტკივილის, კანის ანთების (დერმატიტის), აგრეთვე კუჭისა და ღვიძლის დაავადებების სამკურნალოდ.



ღვიის გირჩის გამონახარშს რევმატიზმის წინააღმდეგ შემდეგნაირად იყენებენ: 200 გრამ გირჩს ხარშავენ 1 ლიტრ წყალში და ამ ნახარშს უმატებენ სააბაზანოდ განკუთვნილ წყალს. გაზაფხულობით კანზე გამონაყარის საწინაღმდეგოდ ურჩევენ პირდაპირ გირჩების ჭამას (ყლაპავენ კარგად დაღეჭილ რბილობს, მაგარს კი გადააგდებენ). პირველ დღეს 5 ცალს, მეორე დღეს 6 და ა.შ. ვიდრე 15 მდე არ ავლენ, შემდგომ დოზას ამცირებენ, ასევე თანდათანობით, ვიდრე 5 მდე არ დავლენ. ამგვარ მკურნალობას მიმართავენ ღვიძლზედაც.

თირკმელების მწვავე ანთებისას ღვიის გირჩის პრეპარატები დაავადების გამწვავებას იწვევს, ამიტომ ექიმის გარეშე მისი გამოყენება დაუშვებელია.

გირჩებისა და წვრილი ტოტების ფოთლებითურთ ნახარშის აბაზანებს იღებენ რევმატიზმის სამკურნალოდ. ხალხური მედიცინა ღვიის ფესვებს სპირტიან ნაყენს ტუბერკულოზის, ბრონქიტის, თირკმლის ქვის და კანის დაავადებების საწინაალმდეგოდ იყენებენ.ღვიის პრეპარატების გამოყენება დაუშვებელია ნეფრიტისა და ნევროზონეფრიტის დროს. ხანგრძლივი გამოყენებისას თირკმლის პარენქიმიის გაღიზიანებას იწვევს.

სპორტი

# მანუელ პელეგრინის სანკტ პეტერბურგში ელიან



მანუელ პელეგრინის ზენიტში მისვლა უკვე თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. ამის შესახებ რუსეთის მთავარი სპორტული გაზეთი სპორტ ექსპრესი წერს.

ზენიტმა თავისი არჩევანი პელეგრინიზე შეაჩერა და ახლა მხოლოდ კონტრაქტის პირობების გარკვევაა დარჩენილი.

წარსულში ზენიტს ბევრი სახელოვანი მწვრთნელი ჰყავდა, მაგალითად, ანდრე ვილაშ ბოაში და ლუჩიანო სპალეტი.

პელეგრინი მანჩესტერ სიტის დაემშვიდობა და ის ამჟამად უგუნდოდ არის. სავარაუდოდ, ის ზენიტს უარს არ ეტყვის, თუმცა ჯერჯერობით პელეგრინის თავის მომავალზე კომენტარი არ გაუკეთებია.




# რუნის ნახევარდაცვაში თამაში მოეწონა

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა უეინ რუნი ბოლო რამდენიმე მატჩში ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. ბორნმუტთან მოგებული შეხვედრის შემდეგ რუნიმ აღნიშნა, რომ ნახევარდაცვაში თავს კარგად გრძნობს და მომავალშიც აპირებს თამაშის მოედნის ცენტრში გაგრძელებას.

– ვფიქრობ ნახევარდაცვაში თამაში კარგად გამომდის. როდესაც უკან ხარ დახეული, თამაშის ტემპს უკეთესად აკონტროლებ, ვიდრე მაშინ, როდესაც წინ თამაშობ. მომავალ სეზონში მინდა ნახევარმცველი გავხდე, თუმცა როცა საჭირო იქნება, ისევ ჩემს ძველ პოზიციას დავუბრუნდები.

რუნი ევროპის ჩემპიონატის წინ საკმაოდ კარგ ფორმაში იმყოფება, რაც ინგლისის ნაკრების გულშემატკივარს იმედებს უსახავს, რომ ამჯერად ინგლისელები თავს არ შეირცხვენენ, როგორც ეს 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# TV პროგრამა

ხუთშაბათი
19 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ 12.30 "ტრანსმისია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნების თარო" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფგიარი" 23.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**მამაჩემის სახელით**" (დ.დეი ლუისი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 13.00 დ/ფ "როდესაც ჩინეთი ევროპას იპყრობს" 14.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე"(5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**გაქცევა**" 02.30 მხ/ფ "**რომეო და ჯულიეტა**" 04.30 სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 7-8 სერ.

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 პროფილი 00.00 P.S. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 3.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 23.40 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 0.40 მხ/ფ "**მაქს პეინი**" 2.30 URBAN STORIES

06.15 სჯანი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა "ტიტა" 07.05 ქართული ალბომი 07.50 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართ. ან/ფ 15.50 ჩვენი ფონდი 16.20 კონცერტი 17.35 დ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ბავშვთა და სნეულთა ზიარება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 დ/ფ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 თვენი 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 21.45 ფსალმუნის განმარტება 22.25 ჩვენი საგანძური 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ფართოა მდინარე**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2003 |
| ევრო | 2.4903 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1563 |
| 100 რუსული რუბლი | 3.388 |

## ამინდის პროგნოზი 19 მაისისთვის








**19 მაისიდან**

გრიგოლ რობაქიძე

**ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**20 მაისიდან**

ნოდარ დუმბაძე

*თეთრი ბაირაღები*

ეს გამოცემა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ წიგნს ერთვის რამდენიმე ფრაგმენტი რომანის ხელნაწერი ვერსიიდან, ასევე მწერლის მეუღლის, ნანული დუმბაძის, მიერ ციხეში შეგზავნილი ბარათები.




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**




## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რომ დავთვრები, მერე აღარავისი მეშინია!

– არ ცოლის?

– ჯერ მაგ დონემდე არ დავმთვრალვარ...

•••

ქალი თვითმფრინავში ავიდა და ფანჯარასთან მოკალათდა. მასთან მამაკაცი მივიდა და ეუბნება:

– ქალბატონო, თქვენი ადგილი დაიკავეთ.

– მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს.

– მაშინ მიდი და გაფრინდი...

•••

ცოლი ქმარს მიმართავს:

– თუ შეამჩნიე, რომ უკვე მეორე დღეა არ გელაპარაკები?

– გაჩუმდი, მინდა ეს სიამოვნება გავიხანგრძლივო.

კაცი დასახვრეტად მიჰყავთ. ამ დროს ბადრაგს ეკითხება:

– რა დღეა დღეს?

– ორშაბათი.

– რა თარსად იწყება ეს კვირა, ამის დედა ვატირე!

•••

მამაკაცის დაჟინებული მზერით შეწუხებული ქალი ეუბნება:

– რა არის ბატონო, ისე მომჩერებიხართ, ლამისაა მზერით გამხადოთ!!!

– ოჰ, რას ბრძანებთ, ქალბატონო, თქვენ უკვე იცვამთ, მე კი სიგარეტს ვეწევი.

•••

ერთი კაცი მეორეს ეკითხება:

– რომელი გირჩევნია, ხუთი ათასი დოლარი რომ გქონდეს, თუ ხუთი ქალიშვილი რომ გყავდეს?

– ხუთი ქალიშვილი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ რვა მყავს...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ? როგორ არის საქმე?

– იმფერი გლახა დროა, სიკვდილს მოგანდომებს კაცს, მარა რათ გინდა? მაგასაც ვერ ვშობი...

– რატომ?

– ჯოჯოხეთის მეშინია და სამოთხის კიდე მრცხვენია!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**17 მაისიდან**

**გი დე მოპასანი**

**ლამაზი მეგობარი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 3

**წიგნისა და გაზეთის ფასი 11 ლარი**







## კალეიდოსკოპი

## სოციალური ქსელები ოფიციანტ გოგონას გამოექომაგნენ



ფეისბუქის მომხმარებლები მას შემდეგ გამოექომაგნენ კანადის პროვინცია ალბერტში მცხოვრებ ოფიციანტ გოგონას, როდესაც სოციალურ ქსელში იქნა განთავსებული მისი დასისხლიანებული ტერფების სურათი. ეს იმის შედეგი იყო, რომ იმ დაწესებულების ხელმძღვანელობის მოთხოვნას ოფიციანტის მიმართ სამსახურში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული წარმოადგენს. ინტერნეტმომხმარებლებმა, რომლებიც გოგონას თანაუგრძნობენ, დაწესებულების ბოიკოტირების წინადადება წამოაყენეს.

რესტორანში სამუშაო დღის დასრულების შემდეგ თავისი ნაცნობის დასისხლიანებული ტერფების ფოტოსურათი სოციალურ ქსელში ნიკოლა გევინსმა განათავსა. მან მოკლე დროში 11 ათასი ნახვა და 412 კომენტარი მოაგროვა.

თავად გოგონას ვინაობა გევინცმა არ გაამხილა. მან ასევე დაამატა, რომ მეორე დღესაც გოგონას მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სამსახურში გამოსვლა მოსთხოვეს და უარი უთხრეს უფრო მოსახერხებელი ფეხსაცმლით ესარგებლა.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების პოლიტიკის თანახმად, თანამშრომლები ვალდებულნი არიან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ატარონ. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციანტს ფეხები დასისხლიანებული ჰქონდა და მან ერთ თითზე ფრჩხილიც კი დაკარგა, რესტორნის მენეჯერმა მისგან ვალდებულების დაცვა შემდეგშიც მოითხოვა.

## თეთრთავა არწივმა მეთევზე უთევზოდ დატოვა



კანადაში თეთრთავა არწივმა მეთევზე თევზის გარეშე დატოვა. აღნიშნული ინციდენტი ტბა მეიპლიზე მოხდა.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ამ შემთხვევის შემდეგ თევზაობის მოყვარულებს აფრთხილებთ, რომ ტბასთან ბინადრობს არწივი, რომელმაც სახელი მთელ ოლქში გაითქვა. ის მეთევზეებს დაჭერილ თევზს მეტად ოსტატურად პირდაპირ ანკესიდან ართმევს.

გამოცემის მტკიცებით, მტაცებელი ფრინველის მოძრაობები ელვისებურია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში იქნა განთავსებული. თეთრთავა არწივი მოულოდნელად გამოიჭრა ტყიდან, თევზს კლანჭები ჩაასვა და გაიტაცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ევერ ბანეგა ინტერში გადავიდა



სევილიის არგენტინელი საყრდენი ნახევარმცველი ევერ ბანეგა კარიერას მილანის ინტერში გააგრძელებს. ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი და ეს ინფორმაცია ინტერის მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმაც დაადასტურა.

ბანეგამ სევილიაში ორი წელიწადი გაატარა, მანამდე კი ვალენსიის ღირსებას იცავდა.

სევილიასთან ბანეგას კონტრაქტი უმთავრდება და ის ინტერში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა.

ბანეგას არგენტინის ნაკრებშიც ხშირად იძახებენ და მას ეროვნული გუნდის მაისურით 40 მატჩი აქვს ჩატარებული.

ინტერში ბანეგას ყოფილი თანაგუნდელი როდრიგო პალასიო თამაშობს, რომელთან ერთადაც ის ჯერ კიდევ არგენტინაში ბოკა ხუნიორსში ასპარეზობდა.

## ტერი ჩელსიში კიდევ ერთ წელიწადს დაჰყოფს



ჩელსის ყოფილმა კაპიტანმა ჯონ ტერიმ ახალ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სეზონის ბოლოს ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ჯონ ტერის ჩელსიდან გაუშვებდნენ, მაგრამ გულშემატკივრებმა მოითხოვეს, რომ ტერი დარჩენილიყო და ამან გაამართლა. ინგლისურ პრესაში ხშირად იწერებოდა იმის შესახებ, რომ კონტეს გეგმებში ტერი არ შედის, თუმცა ფაქტია, რომ ის კიდევ ერთ წელიწადს გაატარებს ამ გუნდის შემადგენლობაში.

ტერი უკვე 35 წლის არის და გასულ სეზონში მან ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა, რამდენჯერმე კი ის მოედნიდან გააძევეს.

## იუვენტუსი დიბალას გაყიდვას არ აპირებს

ტურინის იუვენტუსი თავისი ვარსკვლავის არგენტინელი პაულო დიბალას გაყიდვას არ აპირებს.

დიბალა იუვენტუსში 2015 წლის ზაფხულში გადავიდა და მას შემდეგ ის იუვეს ერთ-ერთი ლიდერია. პაულოს



მიმართ ინტერესს ბევრი გრანდი იჩენს, მათ შორის მადრიდის რეალიც, მაგრამ იუვენტუსი მის გაყიდვას არ აპირებს.

რეალმა ტურინელებს დიბალას სანაცვლოდ 70 მილიონი შესთავაზა, მაგრამ იუვე მაინც უარზეა.

დიბალა 22 წლის არის და იუვენტუსამდე 3 წლის მანძილზე პალერმოს ღირსებას იცავდა. იუვენტუსმა არგენტინელი შემტევი 32 მილიონ ევროდ შეიძინა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 2. იუმორისტული ქართული ჟურნალი; 3. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული; 4. მხარის საკანონმდებლო ორგანო გერმანიაში; 7. გერმანელი კინოლოგი, პოპულარული, სამოსამსახურეო ჯიშის ძაღლის გამომყვანი; 8. ბადაგისა და პურის ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 12. ჩრდილო ირლანდიის დედაქალაქი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. მოქმედების უნარი, ძალა, ღონე; 17. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 19. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. დანაშაულის განმეორებით ჩადენა; 6. ქართველი ტელეწამყვანი მამაკაცი; 9. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 10. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა; 11. საღებავების, ლაქების დასამზადებლად გამოყენებული მოხარშული ზეთი; 13. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 15. ღარიბთა უბნების სახელწოდება, ბრაზილიის ქალაქებში; 18. ხრახნული კონვეიერი; 21. ეკლესიის მნათეს ძველი ქართული სახელწოდება; 22. ქართული ჩაი; 23. ლოგარითმის წილადური ნაწილი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი